ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

პარასკევი, 21 ივნისი, 2013 | №145 (6146) | ფასი: 30 თეთრი

12 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
დალაი ლამა
8 ლარი




# „მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ მერაბიშვილს შსს-ში შტატიანი გამაუპატიურებლები ჰყავდა“



გვ.3

## სამალავში ნაპოვნმა კადრებმა ჟურნალისტები შოკში ჩააგდო



## ვანო მერაბიშვილი: „ვინც მძიმე დანაშაულში მონაწილეობდა, კანონის სრული სიმკაცრით უნდა დაისაჯოს“

გვ.2

## ირაკლი ალასანია: „პასუხისგება სააკაშვილსაც მოუწევს“



გვ.5

## ბაჩო ახალაია: „საჯაროდ ვაცხადებ, ამ ჩანაწერების მოპოვებასთან და მის გავრცელებასთან კავშირი არ მაქვს“



გვ.3

ყოფილი მინისტრი ბოდიშის მოხდას ითხოვს



## გოგა ხინდრავა: „ქვეყანას კაციჭამიები მართავდნენ“

გვ. 2

## „იხსენით ჯანდაცვა მერიის კლანჭებისგან“



გვ.4



გვ.7

## ნანა დევდარიანი: „მეოცნებეების მთავარი საზრუნავი ნაციონალების გადარჩენა გახდა“

ISSN 1987-9385

6 „ამერიკის ელჩი შოკირებულია“

3 მერაბიშვილი გირგვლიანის საქმეზე დაკითხეს

6 გია ვოლსკი: „ვიდეოკადრები სააკაშვილის ხელისუფლების სისტემურ დანაშაულს ასახავს“

5 ეკა ბესელიას აქცია მოუწყვეს

# გოგა ხაინდრავა: „ქვეყანას კაციჭამიები მართავდნენ“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან

***– ბატონო გოგა, სამეგრელოში აღმოჩენილ სამალავებთან დაკავშირებით მინდა, რომ გკითხოთ, ვხედავთ, როგორი დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ამ ფაქტმა საზოგადოებაში...***

– ბუნებრივია, რომ აჟიოტაჟს გამოიწვევდა, იმიტომ, რომ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ნაციონალური მოძრაობა ტერორისტული ორგანიზაციაა. ყველამ ვნახეთ და ყველამ ვიცოდით, რომ არჩევნების წინ სპეციალური რაზმები მზადდებოდა ახალაიების, მერაბიშვილებისა და სააკაშვილების დავალებით. ეს რაზმები შეიარაღებულები იყვნენ. ბუნებრივია, რომ ეს ზუსტად ის იარაღია, აღურიცხავი, ამ არაფორმალური ბანდიტური დაჯგუფებების, როგორც ყველაფერი დანარჩენი, რაც ამ სამალავებში აღმოჩნდა, ადასტურებს იმას, რომ ეს ტერორისტული ორგანიზაციაა და ეს არაერთხელ აღმინიშნავს.

***– რაც შეეხება ამ ვიდეოფირებს, როგორ ფიქრობთ, უნდა განადგურდეს, თუ უნდა ნახოს ის საზოგადოებამ?***

– მანდ სანახავი მაინცდამაინც არაფერი არ არის. ბუნებრივია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ ეს გამოძიებისთვის, მაგრამ რა ვნახოთ იქ, ჩვენი სირცხვილი ვნახოთ?! სხვა რა უნდა ვნახოთ იმ კადრებში? ამ კადრების განადგურება ჩემთვის არის სასაცილო, იმიტომ, რომ როგორ ფიქრობთ, ერთი პირია მხოლოდ ეს კადრები? ბუნებრივია, რომ ეს კადრები იარსებებს და იტრიალებს, როგორც ჩვენი სირცხვილი და რა ვქნათ ახლა? როცა სასირცხვილო საქმეს სჩადიხარ, უნდა იცოდე, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი გამჟღავნდება.

***– რატომ იღებდნენ ამ კადრებს, ან რისთვის ინახავდნენ. რა ლოგიკაში ჯდება ეს ყველაფერი?***

– მანიაკები არიან, ჩემო კარგო. ავადმყოფები იყვნენ ხელისუფლების სათავეში. გადახედეთ მაგათ რიგებს, ავადმყოფები და მანიაკები. რაც ჩვენ უკვე ვიცით, საკმარისი არ არის იმის მისახვედრად, რომ კაციჭამიებთან გვაქვს საქმე? ნამდვილ კაციჭამიებთან. ეს არის ამაზრზენი, ჩვენ უბრალოდ ისე მივეჩვიეთ ამ ამაზრზენობას კრიმინალურ გამოვლინებებში, რომ



აღქმის უნარი დავკარგეთ. შე კაი დედმამიშვილო, ერთი კადრიც რომ არსებობდეს ასეთი, რომ კაცი მიაბეს მაგიდასთან თუ ციხის გისოსებზე და გაუპატიურებას ადგილი ჰქონდა, ამას მთელი საზოგადოება უნდა აღუდგეს წინ, მაგრამ ისე შეგვაჩვიეს 9 წლის მანძილზე ამ უმსგავსობას, ამ ბარბაროსობას, რომ მარტივად ვღებულობთ ამ ყველაფერს, აღმოაჩინეს კიდევ კადრები, მერე რა. იქ ხომ კონკრეტულ ადამიანზეა ლაპარაკი, ვისზეც ძალადობენ და ვინც ძალადობს ამ ფორმით. ამაზე ამაზრზენი არსებობს რამე. სოდომის ცოდვაა. ზოგისთვის ცოდვაა, ზოგისთვის გართობაა. ეს საზოგადოებისთვის უნდა იყოს აბსოლუტურად მიუღებელი, მაგრამ ხომ გეუბნებით, მიგვაჩვიეს და ვუყურებთ ახლა ამას და ვმსჯელობთ, საიდან მოდის ეს. საიდანაც უნდა მოდიოდეს, ვინც უნდა იყოს ამის ჩამდენი, რა მნიშვნელობა აქვს.

***– ნაციონალები ვერ აკეთებენ კომენტარებს აღნიშნულთან დაკავშირებით, დაბნეულები არიან, თქვენი აზრით, არ ელოდნენ?***

– ყველაფერს აქვს საზღვარი. რომ პოლიტიკოსობდნენ და პოლიტიკაზე პრეტენზია რომ აქვთ, ამ ტერორისტული ორგანიზაციის წევრებს, ეტყობა მაგათშიც გაიღვიძა ცოტა რაღაც ადამიანურმა გრძნობებმა და მიხვდნენ, რომ ყველაფერი არ შეიძლება იყოს ჩადენილი, არ შეიძლება ყველაფრის მხარდაჭერა პოლიტიკური ნიშნით. ეს უკვე პოლიტიკა არ არის, ეს უკვე ბარბაროსობაა. ეს არის სირცხვილი და თავის მოჭრა და ამ ადამიანებს კითხვებს ვუსვამთ პოლიტიკაზე, რას ფიქრობს გია ბარამიძე, რას ფიქრობს მეგის ქარდავა, ან რას ფიქრობს სიხარულიძე ამ ყველაფერზე. რაში გვაინტერესებს, რას ფიქრობენ ის ადამიანები, ვინც ამას სჩადიოდნენ და ეს სახელმწიფო პოლიტიკად აქცია. შეიძლება ეს ორგანიზაცია პოლიტიკურ ორგანიზაციად იწოდებოდეს და ოპოზიცია იყოს საქართველოში და პარლამენტში გამოსვლების და კანონების მიღების უფლება ჰქონდეს?! იმ ადამიანებს, ვინც ამას სჩადიოდა, მეგის ქარდავა უშუალოდ სჩადიოდა და აქედან პოლიტიკურ საფარს უკეთებდნენ ბაქრაძე, გიგი წერეთელი, უგულავა, სააკაშვილი, მერაბიშვილი და ის დეპუტატები, ვინც ნაციონალური მოძრაობის სახელით ლაპარაკობენ. ისევე როგორც გირგვლიანის მკვლელობა დაფარა ყველამ ერთად და ამასთან დაკავშირებით სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება არსებობს. ყველა მათი მხარდამჭერი, სადაც უნდა იყოს ის, კრემლში, ვაშინგტონში თუ სტრასბურში, არიან თანამონაწილენი ამ ცოდვის ტრილის. ყველანი მონაწილენი არიან ნებსით თუ უნებლიეთ. იციან თუ არ იციან, მხარს უჭერენ ყველაზე დიდ დანაშაულს, რომელიც შეიძლება იყოს ჩადენილი, ეს არის ძალადობა ადამიანის წინააღმდეგ. ამ კადრის უკან ხომ ცოცხალი კაცი დგას, არა?!

***– იმედია, როცა სამართლიანობის აღდგენაზე დაიწყება საუბარი დასავლეთს აღარ გაუჩნდება კითხვის ნიშნები და აღარ გააკრიტიკებს ახალ ხელისუფლებას...***

– გაუჩნდეს, კაცო, ჩვენ რატომ ვცხოვრობთ სხვისი აზრებით? მე ვფიქრობ, რომ პირველად მოვიდა აღდგენილი დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში შესაძლებლობა, როდესაც ავაშენებთ ქვეყანას და ხელისუფლებაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც პირველ რიგში საქართველოს ინტერესებიდან გამოვლენ და საქართველოს ინტერესებს ემსახურებიან და არა ამერიკის, რუსეთის ან რომელიმე სხვა ქვეყნის, ან გაერთიანების. ეს არის მთავარი. ეს დრო მოვიდა საქართველოში და ჩვენ ყველას ერთად გვაქვს შანსი, რომ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დავუსვათ ამ უმსგავსობას. ეს არის ჩვენი დანიშნულება, როგორც საზოგადოების. არა ხელისუფლების ნაბიჯების შემყურე უნდა ვიყოთ, არამედ საკუთარი ვერდიქტების გამომტანები უნდა ვიყოთ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც ჩვენს საზოგადოებას ეხება და რაც ჩვენს საზოგადოებაში ხდება. აი, მაშინ იქნება ეს ქვეყანა ქვეყანა.

***– საინტერესოა, რატომ არ დაესწრო ამერიკის ელჩი ამ ჩვენებას...***

– ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მე დარწმუნებული ვარ, ამერიკის ელჩსაც რცხვენია. ნორლანდი წესიერი კაცია და ამაში დარწმუნებული ვარ. მაკვირვებს, იმდენად სამართლიანი პოლიტიკოსია, მაგრამ ეს ყველა ქვეყანაშია, ზოგი ისეთია, ზოგი – ასეთი. ზოგი ნორლანდისნაირია და ზოგი ისეთი, ვინც ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებაზე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს. ეს მისი პოლიტიკური კარიერისს და მისი მომავლის თემაა. ეს ამბები გამჟღავნდება, განაჩენები გამოტანილი იქნება, გამოძიებები დამთავრდება და მთელი მსოფლიო დაინახავს, რას წარმოადგენს მერაბიშვილი, რომელსაც ახლა რატომღაც ამერიკის კონგრესი იცავს. ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი პალატა ცდილობს მის დაცვას. ვნახოთ, საბოლოო ჯამში კონგრესის გადაწყვეტილება რა იქნება. როდესაც ლაპარაკი მიდის იმაზე, რომ შეიძლება ურთიერთობა დაიძაბოს, შეიძლება მართლა დაიძაბოს, იმიტომ, რომ ქართველი საზოგადოება მუდამ არ აიტანს მოძალადე ადამიანების მხარდაჭერას, სახელმწიფო დამნაშავეების მხარდაჭერას. იმ ადამიანების მხარდაჭერას, ვინც კაცობრიობის წინაშე სჩადიოდა დანაშაულს. იმიტომ, რომ ის, რისი კადრებიც გვაქვს ჩვენ ნანახი, როდესაც ადამიანს ასეთი ფორმით უსწორდებიან, ასეთ სისასტიკეს იჩენენ, ეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია, მხოლოდ კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ კი არა. მსოფლიოში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი შეიძლება აღმოჩენილიყო ამ კაცის ადგილას, ამათ ხელში თუ ჩავარდებოდა. ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი გვიდგას ახლა ჩვენ ქვეყნის განვითარების და მინდა გითხრათ, ძალიან კარგად ჩანს ახლა, ვინ გამოდის კერძო პარტიული თუ პირადი ინტერესებიდან და ვინ ფიქრობს საზოგადოდ ქვეყანაზე, მის მომავალზე, მის პრობლემებზე. ეს ძალიან კარგად ჩანს დღეს, აი, ამ ერთ კონკრეტულ მაგალითზე. როგორც კი სპეკულაცია იწყება, იმ წუთში ნათელია, რა მიზანს ემსახურება ესა თუ ის პერსონაჟი ქართულ პოლიტიკაში.

***– ამ ყველაფრის მერე, თქვენი აზრით, როდესაც ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები, არ უნდა დადგეს საკითხი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების?***

– ამ საკითხს უკვე აქტიურად განიხილავს ქართველი ხალხი. ეს საკითხი თავისთავად დგას, არ შეიძლება, რომ ეს ხალხი წარმოადგენდეს ქართველ საზოგადოებას და ქართულ ქვეყანას, არ შეიძლება! იმიტომ, რომ ისინი არ წარმოადგენენ ამ ქვეყანას. ამ ქვეყანაში მათ მხარდამჭერები არა ჰყავთ. ერთი მუჭა გადაგვარებული ადამიანების თავყრილობაა და მორჩა. როგორ შეიძლება ისინი წარმოადგენდნენ საქართველოს აზრს. ბუნებრივია, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემა დღის წესრიგში დგას და აუცილებელიც იქნება. ჩვენ განვითარების ეტაპზე ვართ და გუშინდელი დღით არ უნდა ვცოცხლობდეთ და სააკაშვილზე არ უნდა ვფიქრობდეთ. ჩვენ მომავალზე უნდა ვფიქრობდეთ, ხვალინდელ დღეზე და ჩვენს ადგილზე ამ სამყაროში, რომლის დამკვიდრებას ახლა ვცდილობთ ყველანი ერთად. მე ვფიქრობ, რომ ძალიან ღირსეულ გზას ადგას საქართველოს ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი, როდესაც პირველ რიგში ამკვიდრებს საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ხალხის ინტერესებს და მერე ყველაფერს დანარჩენს. თუ გინდა, რომ მსოფლიოში პატივი გცენ, სწორედ ასე უნდა მოიქცე. მარტო სხვა ქვეყანაში კი არ უნდა დაიცვა შენი ინტერესები, სადაც ჩვენი წვლილი დიდია და ღირსებას მატებს შენს ქვეყანას, არამედ საკუთარ ქვეყანაშიც უნდა დაიცვა შენი ინტერესები და შენი ხალხის ინტერესები. ეს უნდა იყოს უპირველესი ამოცანა. აი, მაშინ იქნები სახელმწიფო და ქვეყანა და მაგ გზაზე ვდგავართ.

# ფრიდონ ჰაუსმა საქართველოს შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა

ფრიდონ ჰაუსმა ყოველწლიური გამოაქვეყნა. ანგარიშში ევროპისა და ევრაზიის ყოფილი კომუნისტური ბანაკის ქვეყნებში მიმდინარე რეფორმებისა და დემოკრატიის თვალსზრისით არსებული მდგომარეობის კვლევაა წარმოდგენილი და ის 2012 წლის 2 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს.

ანგარიშში, საქართველოს შესახებ ნაწილში მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები აღინიშნა. კერძოდ, რვა კატეგორიიდან ორ კატეგორიაში – საარჩევნო პროცესი და ეროვნული დემოკრატიული მმართველობა, – პროგრესი დაფიქსირდა, რაც ანგარიშის თანახმადვე, მნიშვნელოვანწილად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემამ და უფრო პლურალისტური პარლამენტის ჩამოყალიბებამ, ასევე, არჩევნების უფრო კონკურენტულ გარემოში ჩატარებამ და საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებულმა ადმინისტრირებამ განაპირობა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაკომპლექტებულ მთავრობას თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიჰქონდა იერიში ძირითადი მეტოქის, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ დასაბამი მისცა ძალაუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემას და პლურალისტულ პარლამენტს, სადაც ორი ძირითადი ფრაქციაა წარმოდგენილი. 2012 წლის ბოლოს „ქართული ოცნების“ ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ, ხელისუფლებამ დააპატიმრა ან დაკითვაზე დაიბარა უამრავი ყოფილი ჩინოვნიკი, რამაც გამოიწვია შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი მთავრობა პოლიტიკური შურისძიების გზას დაადგა. თუმცა, წლის ბოლოსთვის, დაუსაბუთებელი დარჩა ბრალდებები სამართალწარმოების პროცესში არსებული დარღვევების შესახებ. ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის და უფრო პლურალისტული პარლამენტის შექმნის თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული მმართველობის რეიტინგი გაუმჯობესდა.

საქართველოს ახალი საარჩევნო კოდექსის ფარგლებში ჩატარებული პირველი არჩევნები დამკვირვებლების მხრიდან შეფასდა, როგორც უმეტესწილად სამართლიანი და კონკურენტული, რომელიც ოპოზიციის ისტორიული გამარჯვებით დამთავრდა. საარჩევნო კამპანიის დაფინანსების კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, „ქართულ ოცნებას“ არაპროპორციული ჯარიმები დაეკისრა. თუმცა, კამპანიის მიმდინარეობისას, მთლიანობაში დაცულ იქნა გაერთიანების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება“– ნათქვამია ანგარიშში.

აღსანიშნავია, რომ დანარჩენ კატეგორიებში – სამოქალაქო საზოგადოება, დამოუკიდებელი მედია, ადგილობრივი დემოკრატიული მმართველობა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და კორუფცია – საქართველოს შეფასება უცვლელი რჩება.

ანგარიშში, დემოკრატიის საერთო შეფასების სახით, საქართველოსათვის მინიჭებული ქულაა 4.75, რაც გასული 5 წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგია.

ნიუსპრესი

# ვანო მერაბიშვილი: „ვინც მძიმე დანაშაულში მონაწილეობდა, კანონის სრული სიმკაცრით უნდა დაისაჯოს“

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი იმ სკანდალური ჩანაწერების შესახებ, სადაც ადამიანებზე პოლიციელთა მხრიდან ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის კადრებია ასახული, განცხადებასავრცელებს და მიიჩნევს, რომ ყველა დამნაშავე კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს.

„გუშინწინ, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ სამეგრელოში ე.წ. სამალავში აღმოჩენილი ადამიანის წამების და არასათანადო მოპყრობის კადრები გადაღებულია ჩემი მინისტრობის დროს და წარმოადგენს წინა ხელისუფლების სისტემურ დანაშაულს. პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ მსგავსი პოლიტიკური განცხადების გაკეთებამდე ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი ვალდებულია დაელოდოს გამოძიების შედეგებს. თუმცა, ცალსახა არის, რომ ყველა იმ ადამიანმა, ვინც მონაწილეობდა აღნიშნულ მძიმე დანაშაულში კანონის სრული სიმკაცრით უნდა აგოს პასუხი.

მინდა შევახსენო საზოგადოებას და დღევანდელ ხელისუფლებას, რომ 2003 წლამდე, პოლიციის განყოფილებებში „სამართალდამცველთა“ მხრიდან მოქალაქეებისადმი მსგავსი მოპყრობა ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო. რეფორმების დაწყებისთანავე ჩვენ ამ პრაქტიკის წინააღმდეგ მთელი რიგი ეფექტური ნაბიჯები გადავდგით, რამაც პრაქტიკულად აღმოფხვრა მსგავსი შემთხვევები. დაკავებულების წამების, მათზე ფიზიკური ზემოქმედებისა და სხვა მსგავსი დარღვევების გამო, ჩემი მინისტრობის დროს, განსაკუთრებით რეფორმის პირველ წლებში, 200-ზე მეტი პოლიციელი დაისაჯა. აღნიშნულის გამო მიმაჩნია, რომ თუ უკანასკნელ წლებში, რამე მსგავს შემთხვევას ჰქონდა პოლიციაში ადგილი, ეს წარმოადგენს ცალკული პიროვნებების თვითშემოქმედებას და მას არ ჰქონდა სისტემური ხასიათი. შესაბამისად, ნებისმიერი სპეკულაცია მსგავსი ფაქტების სისტემურ ხასიათთან დაკავშირებით წარმოადგენს წინა ხელისუფლების და პირადად ჩემს წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკური დევნის გაგრძელებას. რაც შეეხება პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, მე ჩემს თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას ყველა იმ წარმატებასა თუ შეცდომაზე რაც ჩემი მინისტრობის დროს გვქონდა, ისევე როგორც დღევანდელ ხელისუფლებას მოუწევს საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა ყველა იმ წარმატებასა თუ შეცდომაზე რომელიც მათ ექნებათ“ – აცხადებს მერაბიშვილი.

ნიუსპრესი

# რუსმა მესაზღვრეებმა წითელუბანში ორი ქართველი დააკავეს

გორის რაიონის სოფელ წითელიბანში რუსმა მესაზღვრეებმა ზაზა ხიდაშელი და მალხაზ ედიშერაშვილი დააკავეს. მათი დაკავება იმ დროს მოხდა, როდესაც ისინი საქონელს მწყემსავდნენ.

დაკავებულების ოჯახის წევრებს მათი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ აქვთ.

შემთხვევას ერთ-ერთი ადგილობრივი შეესწრო, რომელმაც საკუთარი ბაღიდან დაინახა, თუ როგორ წაიყვანეს შეიარაღებულმა პირებმა ორი მწყემსი.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ მერაბიშვილს შსს-ში შტატიანი გამაუპატიურებლები ჰყავდა“

## სამალავში ნაპოვნმა კადრებმა ჟურნალისტები შოკში ჩააგდო

შორენა მარსაგიშვილი

**სკანდალური კადრების სანახავად შინაგან საქმეთა სამინისტროში გუშინ ჟურნალისტები და არასამთავრობოები მიიწვიეს. ირაკლი ღარიბაშვილმა მედია წინასწარ გააფრთხილა, რომ მათ შემზარავი კადრების ნახვა მოუწევდათ. სუსტი გულის პატრონებს დარბაზიდან გასვლისკენ მოუწოდა.**



მართალია სუსტი გული არ ჰქონდათ, მაგრამ შს მინისტრთან, ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების საია-ს, „საერთაშორისო გამჭირვალობისა“ და „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლებმა დატოვეს.

როგორც საია-ს ხელმძღვანელმა კახა კოჟორიძემ გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა, ის იქ მოვიდა არა კადრების სანახავად, არამედ სადისკუსიოდ და მას ამ კადრების ჩვენება მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

გულის სისუსტეს და სიჩვილეს არც ჟურნალისტები ეკა კვესიტაძე და დათო პაიჭაძე უჩივიან, მაგრამ შეხვედრა მათაც დატოვეს.

მისი თქმით, ჟურნალისტების გარკვეულ ნაწილს არ სურდა, ამ კადრების ხილვა და იყო პროვოკაცია შალვა რამიშვილისა და ირაკლი კაკაბაძის მხრიდან, რის გამოც მან შეხვედრა დატოვა.

— საზოგადოებრივი მაუწყებელი უკვე 6 თვეა, ითხოვს, რომ პირდაპირ ეთერში მოვიდეს შს მინისტრი. მე მას პარასკევს ვეპატიჟები ჩემს გადაცემაში, თუმცა პრეს-სამსახურიდან მესმის გამუდმებით უარი. მაქვს მასთან ბევრი კითხვა გახმაურებულ საქმეებთან და ამ კადრებთან დაკავშირებით. თუ არ მოვა გადაცემაში, ვიტყვი, რომ იგი ამ ყველაფერს თავს არიდებს. მოიყვანეს გარკვეული ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ პროვოკაციის მოწყობას, ეს იყო ცირკი და მე ამ ცირკში მონაწილეობას არ მივიღებდი, — განაცხადა კვესიტაძემ.

შეხვედრა კიდევ რამდენიმე ჟურნალისტმა დატოვა პროტესტის ნიშნად. მათი განცხადებით, ამ კადრებიდან პირების იდენტიფიცირება შესაძლებელი იყო. მათ მოსაზრებას არ ეთანხმება „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენელი თამარ გაბისონია. მისი თქმით, კადრებში ვინმეს იდენტიფიცირება შეუძლებელია, რადგან ხმა გათიშული იყო და სახეები დაშიფრული.

— ეს იყო ძალიან მძიმე კადრები, თუმცა მასში ვინმეს იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო. ხმა იყო გათიშული, შესაბამისად, ხმით იდენტიფიცირება ვერ მოხდება, ასევე სახეები იყო დაშიფრული, როგორც მოძალადის, ასევე მსხვერპლის. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დამსწრე ადამიანი ამბობდა, რომ ეს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ვფიქრობ, რომ ქართველი ერი ამ უბედურებისგან უნდა დავიცვათ, — განაცხადა გაბისონიამ.

იგივეს ფიქრობს სააგენტო „ნიუსპრესის“ რედაქტორი ალეკო ჩუბინიძეც. ის ფიქრობს, რომ შსს-მ ზედმეტი „გულმოდგინებაც“ კი გამოიჩინა.

— შსს-ს აშკარად ზედმეტად „გულმოდგინედაც“ კი ჰქონდა კადრები დაფარული, ერთადერთი სამხილი „კასტილებია“, რადგან რამდენიმე წლის წინ ვანოს შსს-ს უშტატო თუ შტატიან „გამაუპატიურებელს“ ფეხი ჰქონია მოტეხილი. გამოვიძიოთ, რამდენ ადამიანს ჰქონდა ფეხი მოტეხილი ბოლო 4 წლის განმავლობაში და მოძალადის იდენტიფიცირებასაც მოვახდენთ, — აცხადებს ალეკო ჩუბინიძე.

ჟურნალისტ შალვა რამიშვილის განცხადებით კი, კადრები ყოფილი ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა უნდა ნახონ, რათა პასუხისმგებლობა იგრძონ.

— პირველ რიგში, ეს მასალა უნდა ნახოს შეზღუდული წრიდან ადამიანებმა, რომ იმ სკეპტიკოსებს გასცენ პასუხი, რომლებიც ამბობენ, რომ ეს მასალები არ არსებობს და შეთითხნილია. მეორე, ეს უნდა ნახონ ყოფილი ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა მედიასაშუალებებში მომუშავე ადამიანებმა, რათა იგრძნონ პასუხისმგებლობა, რომ ისეთ რეჟიმს უჭერდნენ მხარს, რომელიც ამ ყველაფერს უშვებდა, — განაცხადა რამიშვილმა.

გაზეთ „ქრონიკა+“-ის რედაქტორის ელისო კილაძის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა უმძიმესი კადრები იხილეს.

— უმძიმესი განწყობით დავბრუნდი შსს-დან. ორი ვიდეო მასალა ვნახეთ, პიროვნებების იდენტიფიკაცია შეუძლებელი იყო, საქმე ეხებოდა სამეგრელოში მომხდარ ორ უმძიმეს ფაქტს, ხელფეხშეკრული ორი მამაკაცი რამდენიმე პირმა გააუპატიურა, აიძულებდნენ, რომ ეღიარებინა ჯერ არ მომხდარი ტერაქტი, — აღნიშნავს კილაძე.

კილაძის მსგავსად „ნიუსპრესის“ რედაქტორი ალეკო ჩუბინიძე ნანახით შოკირებული დარჩა. ამბობს, რომ ამ კადრების ხალხისთვის ჩვენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

— არც კი ვიცი, რა ვთქვა. ნანახით შოკირებული ვარ. ასეთი რამეები ფაშისტებსაც არ ჩაუდენიათ. შსს-მ კარგი გადაწყვეტილება მიიღო, ეს კადრები ტელევიზიით რომ არ აჩვენა. ეს კადრები ხალხმა რომ ნახოს, გარწმუნებთ, ქვეყანაში უმართავი პროცესები დაიწყება. ხალხი ამათ გადაუვლის. ბიძინა ივანიშვილი კი არა, პატრიარქიც ველარ შეაჩერებს მათ. კადრები ხალხმა არ უნდა ნახოს, მაგრამ დამნაშავეები უნდა გასამართლდნენ. ამის გარდა მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს, რას აკეთებდნენ ნაციონალები ამ 9 წლის მანძილზე. დასავლეთი ვანო მერაბიშვილის დაჭერას აპროტესტებს. სწორედ მათ უნდა გავაგებინოთ, რა საშინელებები ხდებოდა მისი შს მინისტრობის დროს. გაიგოს დასავლეთმა, რომ ვანო მერაბიშვილს სამინისტროში შტატიანი გამაუპატიურებლები ჰყავდა. მე ვერ ვხვდები, რა ფსიქიკის ადამიანის თავში უნდა მოიხარშოს ის საშინელება, რაც ჩვენ ვნახეთ. ეს იყო სისტემური დანაშაული და დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. მე, როგორც მოქალაქე და არა, როგორც ჟურნალისტი, შსს-გან მოვითხოვ, რომ სასწრაფოდ გამოავლინოს და კანონის სრული სიმკაცრით დასაჯონ დამნაშავეები, — ამბობს ალეკო ჩუბინიძე.

ნაციონალური მოძრაობა კი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს, რომელიც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საკითხს გამჭვირვალედ, საფუძვლიანად და მიუკერძოებლად გამოიძიებს.

როგორც უმცირესობის პრესამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 19 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროში საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრაზე წარდგენილ იქნა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი მასალები და დაკავებულნი არიან ძალოვანი უწყებების როგორც ყოფილი, ასევე მოქმედი თანამშრომლები.

— ვთვლით, რომ საქმე გვაქვს იმდენად მძიმე დანაშაულთან, რომ, ყოველგვარი პოლიტიკური სპეკულაციის გარეშე, სრულიად მკაფიოდ უნდა ითქვას — ყველა პირი, რომელიც მონაწილეობდა, გეგმავდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას და ავრცელებდა ამის ამსახველ მასალას, უნდა დაისაჯოს კანონის მთელი სიმკაცრით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო ფრაქცია საჭიროდ თვლის, შეიქმნას საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისია, რომელიც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საკითხს გამჭვირვალედ, საფუძვლიანად და მიუკერძოებლად გამოიძიებს. საგამოძიებო კომისიის შექმნა აუცილებელია იმისათვის, რომ სამართალდამცავმა სტრუქტურებმა გამოიყენონ ამ ალმაშფოთებელი ფაქტების გამოძიების პროცესი და მისი მიმდინარეობისას მოპოვებული მტკიცებულებები არა პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ კამპანიის საწარმოებლად, არამედ რეალური დამნაშავეების გამოსავლენად და დასასჯელად.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ უახლოეს წარსულში, ადგილი ჰქონდა ციხეში პატიმართა წამებაში ერთ-ერთი მთავარი მონაწილის, ვლადიმერ ბედუკაძის, პოლიტიკური მოტივებით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მთლიანად გათავისუფლებას. ასევე, სავარაუდოდ პოლიტიკური მიზეზებით, პატიმართა წამებაში მონაწილე სხვადასხვა პირებმა, მათ შორის ბორის ფარულავამ (მეტსახელად ბუბუმ) და სხვებმა უკვე დატოვეს საპატიმროები. იგივე საქმეში მონაწილე კიდევ ხუთ პირს მიესაჯა არაადეკვატურად რბილი სასჯელი.

ამასთან, სხვადასხვა სახის უკანონო და დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული პირების მიმართ გამოძიება დაუსაბუთებელ ლმობიერებას იჩენს, თუკი ეს პირები მოქმედი ძალოვანი სტრუქტურების წევრები, ხელმძღვანელები ან მათი მფარველობის ქვეშ მყოფი პირები არიან. ამის მაგალითია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გელა ხვედელიძისთვის არაადეკვატურად მსუბუქი სასჯელის მოთხოვნა. ის მოხელეები კი, რომელთაც თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწეს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალით დაშანტაჟებაში მონაწილეობდნენ, ჯერაც დაუსჯელნი არიან. მძიმე დანაშაულის გამოვლენისა და კანონის მთელი სიმკაცრით დასჯისათვის მნიშვნელობა არ აქვს პარტიულ-პოლიტიკურ ფაქტორებს. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა საგამოძიებო კომისიის შექმნით შეძლებს თავიდან აიცილოს პოლიტიკური მიკერძოება და დაადგენს ობიექტურ ჭეშმარიტებას, — ნათქვამია განცხადებაში.

საინტერესოა, რას იტყვის ნაცმოძი, როცა ობიექტური ჭეშმარიტება დადგინდება. ევროპის სახალხო პარტიის წევრთა და აშშ-ს კონგრესის პოზიციის მოსმენაც კარგი იქნება.

# ბაჩო ახალაია: „საჯაროდ ვაცხადებ, ამ ჩანაწერების მოპოვებასთან და მის გავრცელებასთან კავშირი არ მაქვს“

## ყოფილი მინისტრი ბოდიშის მოხდას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

სამეგრელოში აღმოჩენილ სამალავში ნაპოვნი ფირები მორიგი პოლიტიკური სკანდალის მიზეზი გახდა. დიდი ალიაქოთია ატეხილი იმაზეც, თუ ვინ გასცა საიდუმლო სამალავის ადგილსამყოფელი.

შსს ამ საიდუმლოს ცოცხალი თავით არ გვიმხელს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით კი საიდუმლო სამალავი ბაჩო ახალაიამ გასცა. ამის შესახებ სტატია გაზეთმა „ყველა სიახლე“ გამოაქვეყნა.

როგორც გამოცემა იუწყება, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა სამალავის აღმოჩენას დიდი



სპექტაკლი უწოდეს. დეპუტატმა დავით საყვარელიძემ განაცხადა, რომ ეს იყო თავდაცვის სამინისტროს სამალავი და შსს-მ საიდუმლო ინფორმაცია გაასაჯაროვა, რაც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ უარყო. ადმინისტრაციის ყოფილი მაღალჩინოსნის თქმით, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, სამალავი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ არის მოწყობილი.

— არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ არჩევნებამდე სამეგრელოში შეიქმნა გაუგებარი შეიარაღებული ფორმირებები, რომლებსაც უშუალოდ ბაჩო და დათა ახალაიები, მეგის ქარდავა და თავდაცვისა და შს სამინისტროების მაშინდელი სხვა მაღალჩინოსნები კურირებდნენ. რა თქმა უნდა, ეს უშუალოდ თბილისის დავალებით ხდებოდა. ამ ფორმირებებს ჰქონდათ იარაღი, ასევე სამალავიც, რომელიც სხვაგან მდებარეობდა. ჩემი ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც არჩევნების შედეგები გამოცხადდა და მიხეილ სააკაშვილმა ძალისმიერ სცენარზე უარი თქვა (თუ ათქმევინეს), ფორმირებები დაშალეს, თუმცა იარაღის შენახვა გადაწყვიტეს. შესაბამისად, არჩევნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც კვლავ „ნაციონალები“ აკონტროლებდნენ ხელისუფლებას, შექმნეს იარაღის ახალი სამალავი. მოგვიანებით კი იქ მიიტანეს ვიდეომასალა და საარქივო მასალები თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის თუ სხვა ქალაქების კუდ-ისა თუ სოდ-ის სამმართველოებიდან. ეს სამალავი ნელ-ნელა „ივსებოდა“, შემდეგ, როგორც ჩანს, შედარებით დაბალი რანგის სამართალდამცველებმა იქ ნარკოტიკებიც შეზიდეს. ამ სამალავის არსებობის შესახებ შსს-ს — ბევრმა მაღალჩინოსანმა თუ საშუალო რგოლის წარმომადგენელმა იცოდა, ამიტომ ძნელი სათქმელია, ვინ გაამჟღავნა მისი ადგილსამყოფელი, — აცხადებს ყოფილი მაღალჩინოსანი „ყველა სიახლესთან“ საუბრისას.

მისვე ინფორმაციით, სამალავის შესახებ საქმის კურსში იყო ვანო მერაბიშვილიც, რომელიც მსგავს საკითხებს კურირებდა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ბაჩო ახალაია აცხადებს, რომ ცოტა ხნის წინ აღმოჩენილი ფარული ჩანაწერების არც მოპოვებასთან და არც მის გავრცელებასთან კავშირი არ აქვს. ამის შესახებ ბაჩო ახალაიას განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც მისი ფეისბუქის გვერდზე გავრცელდა.

— ამ ბოლო დროს აქტიურად ხდება ჩემი სახელის გამოყენება ამა თუ იმ დანაშაულებრივ ფაქტთან მიმართებაში. ბოლო ასეთი მცდელობა იყო ჩემი სახელის ხსენება ე.წ. უკანონო ჩანაწერებთან დაკავშირებით. საჯაროდ ვაცხადებ, არც ამ ჩანაწერების მოპოვებასთან და არც მის გავრცელებასთან არანაირი კავშირი არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს. უფრო მეტიც, უახლოეს დღეებში ვაპირებ მივმართო სასამართლოს და ყველა უპასუხისმგებლო ადამიანსა თუ გამომცემლობას მოვთხოვო ბოდიშის მოხდა ჩემი და ჩემი ოჯახის სახელის დისკრედიტაციისათვის. არასოდეს დამიხევია უკან გამოწვევების წინაშე და არც დღეს ვაპირებ. მე საქართველოში იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ ვიღაცასთან გარიგების გზით კომფორტი და ხელშეწყობა მივიღო. სალად ვაფასებდი ვითარებას და ზუსტად ვიცოდი რა მელოდა წინ და რაც არ უნდა რთულ პირობებში მომიწიოს ყოფნა, ვიცი, რომ ჩემი სიმართლის დამტკიცება სწორედ ამ რთულ გზაზე გადის, — აცხადებს ბაჩო ახალაია.

# „იხსენით ჯანდაცვა მერიის კლანჭებისგან“

## ექიმები აქციებს იწყებენ

მერი ნამორაძე

„იხსენით ჯანდაცვა მერიის კლანჭებისგან“, „ველოდებით სამთავრობო კომისიის დასკვნას“ – ამ ლოზუნგებით გუშინ კანცელარიის შენობის წინ პირველადი ჯანდაცვის ობიექტების მედიკოსები შეიკრიბნენ და საპროტესტო აქცია გამართეს სამედიცინო შენობების გაყიდვა–გასხვისების გამო. მეცამეტე პოლიკლინიკის, ბავ-



შვთა პოლიკლინიკის „შუა ქალაქი“, მეორე სამკურნალო პროფ-ცენტრის, სამედიცინო გაერთიანების „ჯანმრთელობა“, თერაპიის ინსტიტუტის, ქირურგიის ინსტიტუტის, დამწვრობის ცენტრის მედიკოსები ირწმუნებიან, რომ თუ ასე გაგრძელდა და პროცესი შეუქცევად სახეს მიიღებს, ქვეყანა პირველადი ჯანდაცვის ობიექტების გარეშე დარჩება. როგორც ცნობილია, სადაზღვევო კომპანიებმა ხელშეკრულება არაერთ პოლიკლინიკას გაუუქმეს და პაციენტები საკუთარი ინტერესისამებრ გადაანაწილეს და ტერიტორიული ხელმისაწვდომობა მოუსპეს მათ. გუშინ მედიკოსებს უფლებადამცველებიც გამოესარჩლნენ.

ლაშა ჩხარტიშვილი, უფლებადამცველი: რვა თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყანაში შეიცვალა ცენტრალური ხელისუფლება. მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა, დღემდე არ ყოფილა გაჟღერებული, თუ რა პოზიცია აქვს ხელისუფლებას საქართველოში სამედიცინო ობიექტების მასობრივი გასხვისების თაობაზე. ჩვენ ვამტკიცებდით და გვაქვს იმის საფუძველი, რომ ვთქვათ, მასობრივი გაყიდვების უკან იყო უგულავას, სააკაშვილის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების ინტერესი. დღესაც ბედავს უგულავა, დაისაკუთროს არსებული პოლიკლინიკები და ამის მაგალითია მე-13 პოლიკლინიკა. თუმცა, ანალოგიური მდგომარეობაა როგორც ამბულატორიებთან, ისე საავადმყოფოებთან მიმართებაში. თუ ეს პროცესი არ შეჩერდა, მივიღებთ სერიოზულ ზიანს. აქ არ არის საუბარი მხოლოდ ექიმთა სამსახურის დაკარგვაზე. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება მისი ჯანმრთელობა იყოს დაცული და მასზე ზრუნავდეს სახელმწიფო, რაც რეალურად ვერ განხორციელდება იმ პირობებში, თუ დაზღვევა დარჩა ფარატინა ქაღალდად და კლინიკები და სათანადო გარემო არ იქნა შექმნილი ქვეყანაში. კლინიკები გაყიდა ძველმა ხელისუფლებამ, ახალი მთავრობა ამ საქმის გამოძიებაზე არ ზრუნავს, შესაბამისად გვაქვს სერიოზული ზიანი, როგორც ექიმთა სამსახურის გარეშე დატოვების მხრივ, ასე სამკურნალო პირობების მხრივ, რომელიც არ არის შექმნილი იქ, სადაც ეს კლინიკები სიმბოლურად არის გადატანილი. მაგალითისთვის დამწვრობის ცენტრი შეიძლება ავიღოთ, რომელზეც საუბრობენ, რომ შეიძლება 2015 წელს შეიქმნას, იქამდე 2 წელია დარჩენილი და პაციენტები რჩებიან რეალური სამკურნალო ბაზისის გარეშე.

გასხვისება მიმდინარეობდა ერთადერთი ინტერესის გამო – ხელში ჩაეგდოთ უძრავი ქონება და არა ის, რომ ეზრუნათ სამკურნალო პირობების შექმნაზე.

– ხელისუფლებისგან გასხვისებული ქონების უკან დაბრუნებას ითხოვთ?

– ვითხოვთ რეალური საგამოძიებო მოქმედების დაწყებას. შეიძლება დადასტურებული იქნეს კორუფციული გარიგებები, თუ პროკურატურა საკუთარ მოვალეობას შეასრულებს, რაც არ სრულდება.



მანანა ელიზბარაშვილი, პროფილაქტიკური ცენტრის „შუა ქალაქის“ ექიმი:

– ვაპროტესტებთ სამედიცინო დაწესებულებების გაყიდვებს. მერიამ გაყიდა პირველადი ჯანდაცვის თითქმის ყველა ობიექტი. გაიყიდა ხალხზე, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი პირველადი ჯანდაცვით. მიდის პირდაპირი, მიზანმიმართული ნგრევა, გაკოტრება პირველადი ჯანდაცვის ობიექტებისა. სადაზღვევო კომპანიებთან არიან შეკრულნი და ამ წუთას ვაპროტესტებთ „არქიმედეს“ ქმედებას, რომელმაც შეწყვიტა ჩვენთან ხელშეკრულებები, გადაიგზავნა პაციენტები სხვა დაწესებულებებში. ჯანდაცვის სამინისტროსთან, გვქონდა კონსულტაციები, პროკურატურაში, ფინანსურ პოლიციაში ყველგან საქმე აღძრულია და პასუხს ვერ ვღებულობთ. კონკრეტული მოთხოვნები გვაქვს – ჩამოერთვას პირველადი ჯანდაცვა მერიას და გადაეცეს ჯანდაცვის სამინისტროს სამართავად.

ბიძინა ივანიშვილმა 28 დეკემბრის დადგენილებით გამოსცა ბრძანებულება, რომ სამთავრობო კომისია უნდა შეიქმნას, რომელიც შეისწავლის გაყიდული პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულებებს. ახლა ვთხოულობთ ამ კომისიის შედეგებს და დასკვნას, თუ როგორია ამ ობიექტების მდგომარეობა და გაყიდვის კანონზომიერება.

– სადაზღვევო კომპანიას თუ აქვს სახელფასო დავალიანება?

– ჩვენს დაწესებულებაში სახელფასო დავალიანება „არქიმედეს“ არ ჰქონია, მაგრამ პაციენტები იკარგება, რომლებიც გადაამისამართეს. ეს არის მიზანმიმართული გაკოტრება. უძლიერესი პროფილაქტიკური ცენტრი „შუა ქალაქი“, ბავშვთა პროფილით, იყო ნომერ პირველი ბავშვთა დაწესებულება, რომელიც დღეს გაკოტრების პირასაა. ახლა გვიერთებენ მე-13 მოზრდილთა პოლიკლინიკას, ასეა ლოტი გაყიდული, არადა დაწესებულებაში ამდენი ადგილი არ არის ორი პოლიკლინიკის, თან შერეული პოლიკლინიკის განსათავსებლად. უნდა მოხდეს ორივე დაწესებულების ნგრევა. დიდი ხანია აქციებს ვაწყობთ და ვითხოვთ პასუხს, მაგრამ ვერსაიდან მივიღეთ. ახლა პრემიერ-მინისტრისგან გვინდა პასუხი, თვითონ გამოსცა ეს ბრძანებულება, რომ უნდა შეესწავლა საკითხი სამთავრობო კომისიას და გაგვცენ პასუხი, რას სწავლობენ.

გიორგი ხუციშვილი, აქციის მონაწილე:

– ჩვენ უკმაყოფილო ვართ არა მხოლოდ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტით, არამედ ჯანდაცვის სამინისტროს მუშაობით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი რაღაცას აკეთებენ განსხვავებით ნაცმოძრაობის ნგრევისგან, მაგრამ გასაკეთებელი იმდენად ბევრია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უსუსურია მათი მუშაობა. ჩვენ მოვითხოვთ, ან დაიწყონ ნამდვილი მუშაობა და მოგვხედონ ექიმებს, ან განაცხადონ „ჩვენ არ შეგვიძლია მუშაობა“. ნუ გვატყუებენ ნურც ჩვენ, ნურც ხალხს. რაც შეეხება სამედიცინო ობიექტებს, ცვლილებები, რაც მედიცინაში უნდა მოხდეს, პირველ რიგში ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა მოიკითხოს, ამ დროს ჩვენ, ექიმები ვითხოვთ, რომ სამინისტრომ მიხედოს. რას აკეთებენ ის რგოლები, რომლებსაც ეს საკითხი ეხება, ჩვენთვის აბსოლუტურად დახურულია. უნდა გაიხსნას ყოველგვარი დახურვა, დავსხდეთ ერთად და გადავარჩინოთ როგორც ქართული ჯანდაცვა, ასევე თითოეული ადამიანის სიცოცხლე.

დიმიტრი ლორთქიფანიძე, უფლებადამცველი:

– ვიკრიბებით იმისთვის, რომ ჩვენი საპროტესტო ხმა დავაფიქსიროთ ჩვენი ხელისუფლების წინაშე. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ დღევანდელი შეკრების მიზეზი არ არის მითითება რაიმე შეცდომის ან გადაცდომის გამო. აქ არის კარგად გამოკვეთილი, ორგანიზებული დანაშაული, ჩადენილი სახელმწიფო მოხელეთა მიერ, მათ შორის გარეულნი არიან მაღალი თანამდებობის პირები. აღნიშნული ფაქტის შესახებ არაერთხელ, მათ შორის ექიმთა ერთ-ერთი ადვოკატის მიერ იქნა დაფიქსირებული, ბატონი კახა კუკავას მიერ იქნა დაფიქსირებული, ლაშა ჩხარტიშვილის მიერ, თქვენი მონამორჩილიც არაერთხელ ყოფილა პროკურატურაში და არაერთხელ წარგვიდგენია პეტიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა დანაშაულებრივი სქემით ხორციელდებოდა ჯანდაცვის პირველადი ორგანიზაციების გამსხვილება

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „მაგთიკომის“ სიურპრიზი ქართული ფოტოხელოვნების მოყვარულებს

## კომპანიის ინიციატივით გამოჩენილი ფოტოხელოვანის — სერგო ედიშერაშვილის ფოტოალბომი გამოიცა

„სად აღარ ნახავთ მას ფოტოკამერით ხელში – მთაში თუ ზღვაზე, თოვლში თუ წვიმაში, ხალხთან თუ ეულად, ქუჩაში თუ ჯერ ისევ ველური ბუნების წიაღში. შემოქმედის უტყუარი ალღო არასდროს ღალატობს, როდის გააჩეროს კადრი...“ ვკითხულობთ ფოტოალბომის „მოგზაურობა საქართველოში“ შესავალ ნაწილში და ვინც სერგო ედიშერაშვილს პირადად იცნობს, უფრო მეტი მინიშნების გარეშეც ადვილად მიხვდება, ვისზეა საუბარი. აი, ვინც არ იცნობს მის შემოქმედებას, „მისალოცია“ – წინ ძალიან დიდი სიამოვნება ელის, სერგო ედიშერაშვილის შესანიშნავი ფოტოების გაცნობის სიამოვნება...




ფოტოგრაფიამ ჯერ კიდევ მაშინ დააინტერესა, როცა სკოლის მოსწავლე იყო, თუმცა მაშინ სულ სხვა გეგმები ჰქონდა – რეჟისორობას აპირებდა და თეატრალური სტუდიაც დაამთავრა. როგორც თავად ამბობს, გადამწყვეტი როლი მის ცხოვრებაში გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში თბილისში გამართულმა გამოფენამ იმოქმედა, სახელწოდებით „თბილისი და თბილისელები“.

შემდეგ იყო ბევრი რთული, გაბედული და სარისკი ნაბიჯი წარმატებისკენ.

1985 წელს 34 წლის ასაკში სერგო ედიშერაშვილი მსოფლიოს 100 საუკეთესო ფოტოგრაფს შორის დასახელდა.

დღეს სერგო ედიშერაშვილი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქართველი ფოტოხელოვანია.

20 ივნისს „მაგთიკომმა“ სერგო ედიშერაშვილს შესანიშნავი სიურპრიზი მოუწყო – ფოტოხელოვანის დაბადების დღეს მისი ნამუშევრების გამოფენა და ფოტოალბომის პრეზენტაცია დაამთხვია.

„მოგზაურობა საქართველოში“ – ასე უწოდა ავტორმა ფოტოალბომს, რომელიც მისი ცხოვრების მთავარ გატაცებას – საქართველოს უნიკალურ, მრავალფეროვან ბუნებას, არქიტექტურასა და ქართველი ხალხის თემას ეძღვნება.

**თათული ღვინიაშვილი, „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:**

– ქართველი ფოტოხელოვანი სერგო ედიშერაშვილი „მაგთიკომის“ ძალიან დიდი ხნის მეგობარია და მასთან ერთად არაერთი პროექტი გვაქვს განხორციელებული. დღეს კი „მაგთიკომში“ მისი ფოტოების გამოფენა და ალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

ბატონი სერგოს ფოტოობიექტივი ძალიან ბევრ და საინტერესო ფოტოს ითვლის, მოვლილი აქვს მთელი საქართველო, უმუშავია ცხელ წერტილებშიც, თუმცა პრიორიტეტული მისთვის სამშობლოა. მთლიანობაში, გამოცემულია მისი 7 ალბომი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ეძღვნება, ამ ახალ ალბომსაც შესაბამისი სახელი აქვს მიღებული – „მოგზაურობა საქართველოში“.

იმედი მაქვს, ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება და მომავალში კიდევ არაერთ პროექტს განვახორციელებთ.

**გია ჩხატარაშვილი, ფოტოხელოვანი:**

– ვინც სერგო ედიშერაშვილს იცნობს, დამეთანხმება, რომ ყველაზე მთავარი, რაც მას გააჩნია, ეს არის პროფესიონალიზმი. მან ის დრო, როცა საქართველოსთვის ძალიან მძიმე გარდატეხის პერიოდი იდგა, როგორღაც გადაიტანა და სხვებისგან განსხვავებით, საყვარელ პროფესიას არ უღალატა, თავის ნიშა აირჩია და ბოლო პერიოდში შესანიშნავი ნამუშევრებით გვახარებს.

ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „მაგთიკომს“ ფოტოგრაფიის და ზოგადად, ქართული კულტურის ასეთი მხარდაჭერისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მთელი ქვეყნისთვის, ჩვენი მომავალი თაობებისთვის.

**სერგო ედიშერაშვილი:**

– უკვე 50 წელია, რაც ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები და იმედი მაქვს, ამის შესაძლებლობა კიდევ დიდხანს მექნება.

***– ბატონო სერგო, ალბომის სახელწოდებაზე გვითხარით ორიოდ სიტყვა.***

– დამეთანხმებით, ჩვენი საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომელსაც ერთი წიგნში ვერაფრით დატევ. გადავწყვიტე, ვიმოგზაურო მის ყოველ კუნჭულში, გავაცნო ხალხს ჩვენი კუთხე, ჩვენი სილამაზე, რა გვაქვს, რითი უნდა ვიამაყოთ.

***– და როდის გაიცნო სერგო ედიშერაშვილმა პირველად ფოტოგრაფია?***

– ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში... საერთოდ, რეჟისორობას ვაპირებდი, დავამთავრე კიდეც თეატრალური სტუდია, საოპერატორო და ასე შემდეგ, მაგრამ 70-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა გამოფენა „თბილისი და თბილისელები“. ეს იყო უნიკალური გამოფენა და მსგავსი გამოფენა საქართველოში მას შემდეგ აღარც გამართულა. აი, ამ გამოფენამ მომცა ძალიან დიდი სტიმული, მაშინ შემიყვარდა ფოტოგრაფია და მას შემდეგ ფოტოაპარატისთვის ხელი აღარ გამიშვია. სკოლის პერიოდშივე ვთანამშრომლობდი „ნორჩ ლენინელთან“, შემდეგ იყო „ახალგაზრდა კომუნისტი“, მოგვიანებით კი „მალადიოჟ გრუზიაში“ გადავედი. ეს გაზეთი იმ დროის ფოტო ილუსტრაციის მეტრი გახლდათ. ყველაზე კარგი რეპორტიორები იქ მუშაობდნენ. მაგალითად, ალექსანდრე სააკოვი, ტოლია რუხაძე, მალხაზ დათიკაშვილი და სხვები და სხვები. აქედან უკვე დაიწყო და დაიწყო: გავხდი ახალი ამბების სააგენტოს საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში, შემდეგ „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი ვიყავი 10 წლის განმავლობაში, გახლდით „როიტერის“, „ასოშეიტედ პრესის“ კორესპონდენტი. მოვლილი მაქვს ჩეჩნეთი, აფხაზეთი, სამაჩაბლო.



***– და დღემდე საყვარელ საქმეს ემსახურებით.***

– დიახ, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ფოტოჟურნალისტიკას შევეშვი და მხატვრულ ფოტოგრაფიაში გადავინაცვლე. მე გაჩერება არ შემიძლია და ვიღებ ჩემს საქართველოს. დღეს კი „მაგთიკომმა“, ჩემმა დიდი ხნის მეგობარმა ასეთი სიურპრიზი მომიწყო, რისთვისაც ყველას ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო. ეს ჩემი ყველაზე ლამაზი დაბადების დღე და მადლობა „მაგთის“.

**ბექა ავალიანი**

# ეკა ბესელიას აქცია მოუწყვეს

ნათია ხურცილავა

სასტუმრო „რედისონში“ გუშინ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის საანგარიშო სხდომა გაიმართა. ეკა ბესელიას კომიტეტმა არასამთავრობო ორგანიზაციებს ბოლო ექვსი თვის მუშაობის შედეგები გააცნო. შეხვედრას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებიან.



სხდომის დასაწყისში, სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ აქციაზე ეკა ბესელიას კომიტეტის მიერ 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის პროექტთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვეს.

– ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტი სამარცხვინოა და ეწინააღმდეგება ელემენტარულ სტანდარტებს ადამიანის უფლებებისა, რომელიც საერთაშორისო დონეზეა დადგენილი და რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს. ამ დასკვნის პროექტმა, დასკვნის სტატუსი არასდროს უნდა მიიღოს, რადგან ეს სირცხვილი იქნება სახელმწიფოსთვის, – განაცხადა უფლებადამცველმა თამარ გურჩიანმა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, კომიტეტის დასკვნის საბოლოო ვარიანტი მზად არ არის და შესაძლოა, რაღაცები შეიცვალოს.

– არ მესმის, რატომ ბრაზობენ, რადგან დასკვნა ჯერ მზად არ არის. მუშა პროცესია. ცალსახად მინდა ვთქვა, რომ გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება შეიცვალოს და კორექტირება მოხდეს. მთლიანობაში განწყობა არის ის, რომ ვგმობთ ძალადობას, რომელიც 17 მაისს მოხდა. ვისი მხრიდანაც არ უნდა ყოფილიყო, ეს დაუშვებელია, რაც პროექტში ცალსახად არის დაფიქსირებული. მე მზად ვარ ნებისმიერ ჯგუფს შევხვდე. ჩვენ თანამშრომლობისთვის ღია ვართ, – განაცხადა ბესელიამ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ მან ვერ გაიგო, თუ რა პრეტენზიები აქვს მოქალაქეთა ნაწილს კომიტეტის მიერ 17 მაისთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით.

– კომიტეტის დასკვნა ჯერ არ არის მზად. მიმდინარეობს მუშაობა დასკვნის პროექტზე და იქამდე, სანამ მუშა პროცესი ბოლომდე არაა მიყვანილი, ვფიქრობ, არაკორექტულია ასეთი ტიპის შეფასებები და შემაჯამებელი განცხადებები. კომიტეტის მუშაობა არის ღია აბსოლუტურად ყველასთვის. დასკვნის მომზადება არ ითვალისწინებს მხარეების მოწვევას. 12 ათას ხელმომწერთაგან, სადაც არავის ტელეფონის ნომერი და მისამართი არ წერია, მხოლოდ სახელი და გვარით ვერ მოვიწვევდით. ვინმეს შერჩევა რაიმე პრინციპით, ასევე, შეიძლება აღქმულიყო დისკრიმანციულად, რატომ 5 ან 10 და რატომ არა 12 ათასი, – განაცხადა ბესელიამ.



ბესელია აცხადებს, რომ ის მზადაა პრეტენზიების მქონე მოქალაქეებს შეხვდეს და მოისმინოს მათგან, რეალურად რა საკითხებია პრობლემური.

– აქციის გამართვა მათი უფლებაა, სხვათა შორის, ძალიან მინდა შევხვდე და ძალიან მაინტერესებს, რას აპროტესტებენ. ჩემთვის ფორმაა მიუღებელი, როცა არ აცლი კომიტეტს მუშაობას და ვიდრე მუშა პროცესი არ დასრულებულა და ადამიანებს საბოლოო პოზიციები არ ჩამოუყალიბებიათ, იქამდე ხდება შემაჯამებელი განცხადებების გაკეთება. ეს რას ნიშნავს, არ მესმის, ან რა კონკრეტული ფორმულირებებია მიუღებელი. დეფინიციები, ციტირებები აღებულია კონვენციიდან, კონსტიტუციიდან, პაქტებიდან. თუ იმაზე ვდავობთ, რატომ წერია ეს ფრაზები კონსტიტუციაში, ეს სხვა საკითხია, ამაზე დისკუსია შეგვიძლია. მართლა ვერ გავიგე, რას გვედავებიან, – ამბობს ეკა ბესელია.

მისივე თქმით, მან ბევრი წერილი მიიღო, სადაც მოქალაქეები ადასტურებენ, რომ მათ პარლამენტისთვის გაგზავნილ განცხადებას მოაწერეს ხელი. ის აცხადებს, რომ არცერთ ხელმოწერას არ ხდის სადავოს და კომიტეტისთვის ერთი ადამიანის ხელმოწერაც საკმარისი იქნებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, „რედისონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები 17 მაისს განვითარებულ მოვლენებს აპროტესტებდნენ.

ასევე აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ კომიტეტის მიერ 17 მაისთან დაკავშირებული დასკვნის პროექტს და ასევე, პარლამენტისთვის გაგზავნილი პეტიციების ხელმოწერების ნამდვილობასთან დაკავშირებით გამოთქმულ ეჭვებს.

– აქცია ახლა აქ იმართება იმის გამო, რომ ეკა ბესელია და მისი კომიტეტის წევრები შეკრებილები არიან, რადგან 6 თვის მუშაობის ანგარიში უნდა წარმოადგინონ. ჩვენ გვინდა, რომ ეკა ბესელია გამოვიდეს გარეთ და ნახოს ის ადამიანები, რომლებმაც პარლამენტისთვის გაგზავნილ პეტიციას ნამდვილად მოაწერეს ხელი, – გვითხრა აქციის ერთ-ერთმა წევრმა.

აქციის მონაწილეებს თან მოტანილი ჰქონდათ „ტაბურეტები“. მათივე თქმით, ამის მიზანი ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტისთვის სკამის რეალური დანიშნულების გაცნობა იყო.

აქციის მონაწილეებს აქციაზე „ტაბურეტი“ სიმბოლურად ჰქონდათ მოტანილი. მათთან სასაუბროდ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, გედევან ფოფხაძე გამოვიდა, რომელიც აქციის მონაწილეებს შეუთანხმდა, რომ დღეს, 21 ივნისს მათ შეხვდება და სადავო საკითხებს განიხილავენ.

# ირაკლი ალასანია: „პასუხისგება სააკაშვილსაც მოუწევს“

ნათია ხურცილავა

გუშინ მინისტრთა კაბინეტი კანცელარიაში მთვარობის სხდომაზე შეიკრიბა.

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ სამეგრელოში აღმოჩენილ სამალავებში არსებულ საბრძოლო იარაღთან და ვიდეოფირებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს დააკისრა, არამედ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც.



ალასანიას განცხადებით, მასობრივი ტერორის ინსტიტუტების შექმნა არა მხოლოდ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის, არამედ საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია.

– გამოძიებასთან დაკავშირებით ვერაფერს ვიტყვი, თუმცა, ჩემი აზრით, აუცილებელია, სამაგალითოდ გასამართლდეს მთელი ეს პროცესი, ინსტიტუტები, რომლებიც გასული წლების განმავლობაში შეიქმნა. ეს არის არა მხოლოდ ქართული საზოგადოების, არამედ მთელი კაცობრიობისთვის მნიშვნელოვანი თემა, რომ ყველამ იცოდეს, რატომ ჩამოყალიბდა ასეთი მასობრივი ინსტიტუტები. ეს არის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი არა მხოლოდ ვანო მერაბიშვილის, არამედ მაშინდელი პრეზიდენტის, რომ ასეთი ტერორის ინსტიტუტები შეიქმნა ქვეყანაში, – განაცხადა ალასანიამ.

ფარულ ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროს მოქმედი თანამშრომელიც არის დაკავებული. როგორც ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია 19 აგვისტოს ვაშინგტონში მიემგზავრება.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დაწყებამდე განუცხადა, თავდაცვის მინისტრი ვაშინტონში თავისი ამერიკელი კოლეგის მიწვევით მიდის.

– დაიგეგმა ოფიციალური ვიზიტი ვაშინგტონში. მიმიწვია კოლეგამ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ასეთი ვიზიტი არ ყოფილა. ჩვენ ბრიუსელში შევხვდით ნატო-ს აისაფის თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე, სადაც შევთანხმდით, რომ აუცილებელია ორმხრივი სამხედრო ურთიერთობები გაღრმავდეს, ეს შეეხება არა მხოლოდ ავღანეთში ჩვენს ოპერაციებს, არამედ საქართველოსა და ამერიკას შორის სამხედრო ურთიერთობის გაღრმავებას, ქართული შეიარაღებული ძალებისთვის ამერიკის მიერ დახმარების გაწევას, რომ ჩვენ ვიყოთ უფრო ძლიერები და შევძლოთ ჩვენი სუვერენიტეტის დაცვა, ჩვენ უნდა შევქმნათ ყველა საშუალება იმისთვის, რომ საქართველოს თავდაცვისუნარიანობა იყოს უფრო მაღალ დონეზე. საერთო ჯამში, აღნიშნული ვიზიტი მთლიანად ეძღვნება ორმხრივ თანამშრომლობას სამხედრო სფეროში, – განაცხადა ალასანიამ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გუშინ ჟურნალისტებს გენერალ ანჯეი ტიშკევიჩზე, რომელიც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ხელმძღვანელობდა საქართველოში, განუცხადა, რომ ის აფხაზების მოთხოვნის გამო არავის არ გაუწვევია.

– ტიშკევიჩი მიდის, რადგან მას ვადა ამოეწურა. ეს რომ აფხაზეთის მოთხოვნით ყოფილიყო, ის უფრო ადრე წავიდოდა ქვეყნიდან, მაგრამ ვიდრე ვადა არ ამოეწურა, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რომ მისიის ხელმძღვანელი საქართველოში ყოფილიყო, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ნოდარ ხადურმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა. ფინანსთა მინისტრი მის უწყებაში დიდი ოდენობით პრემიების გაცემის ფაქტზე განმარტებებს აკეთებს.

როგორც ხადურმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, ზოგადად შრომის ანაზღაურების ისეთი სისტემა, როგორიც დღეს მოქმედებს, სრულყოფილი არ არის და მის დახვეწაზე მუშაობა მიმდინარეობს.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 6000-მდე ადამიანი მუშაობს. მათზეა დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება. საქმე ეხება 9 მლრდ-მდე ლარს, რომლის მობილიზება უნდა გავაკეთოთ. ამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ მაღალკვალიფიციურ ადამიანებს. თუკი კერძო სექტორში ხელფასი არის მაღალი და ჩვენთან იქნება დაბალი, შანსი იმისა, რომ ჩვენი მაღალკვალიფიციური პერსონალი წავა და კერძო სექტორში იმუშავებს, არის ძალიან დიდი, რაც რისკებს კიდევ უფრო გაზრდის. ხელფასების მოწესრიგება არის ერთ-ერთი გზა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საჯარო მმართველობა კორუფციის გარეშე. ფინანსთა მინისტრი იყენებდა და გამოიყენებს თანამშრომელთა წახალისების სისტემას, თუმცა მინდა, გითხრათ, რომ 2013 წლის 1 იანვრიდან არც ფინანსთა მინისტრს, არც მოადგილეებს და არც სსპ-ების ხელმძღვანელებს პრემია არ აუღიათ. ეს აიღეს იმ ადამიანებმა, ვინც დღე და ღამე მუშაობდნენ საბაჟოში, საგადასახადოში, ხაზინაში და ა.შ., – განაცხადა ხადურმა.

ასევე გუშინ გახდა ცნობილი, რომ 1 სექტემბრიდან თამბაქოს აქციზის საფასური გაიზრდება. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა მიაწოდა.

მისი თქმით, ფილტრიან სიგარეტზე აქციზის ფასი 15 თეთრით მოიმატებს, უფილტროზე კი 5 თეთრით. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად გამოიწვევს ეს თამბაქოს ფასის ზრდას, მინისტრის განმარტებით, ეს ბაზარზეა დამოკიდებული.

დავით ნარმანიამ თავის სამინისტროში ხელფასისა და პრემიის ოდენობაზე ისაუბრა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო პრემიების საკითხის სისტემატიზაციას და მოწესრიგებას გეგმავს.

– ჩვენთან ასეთი პრინციპია: დეპარტამენტის ხელმძღვანელი არჩევს თავისავე დეპარტამენტის თანამშრომლებს, რომლებმაც დღის განმავლობაში ზეგანაკვეთურად იმუშავეს, ან განსაკუთრებული დავალება შეასრულეს. ყოველთვიურად ყველა პრემიას ნამდვილად არ იღებს და ეს პრემია სრული ხელფასის ოდენობა ნამდვილად არ არის. მე მაინც უკმაყოფილო ვარ, ამ თემაზე მოადგილეებთან უკვე მქონდა საუბარი და ჩვენ შევთანხმდით, რომ შევიმუშავებთ სისტემატიზირებულ წესს, რომლის მიხედვითაც, პრემიების განაწილება უფრო ობიექტურად მოხდება, – განაცხადა ნარმანიამ.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ განაცხადა, რომ რეპატრიანტის სტატუსის მქონე მაჰმადიანი მესხებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიღება მარტივდება.

– სტატუსმიღებული მაჰმადიანი მესხებისთვის მოქალაქეობის მიღების პროცედურა გამარტივდება, რაც ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების შესრულებას, რომელიც ისედაც ნორმალურად მიმდინარეობს, კიდევ უფრო გააუმჯობესებს. მათ, ვისაც აქვთ სტატუსი მინიჭებული, შეეძლებათ საკონსულოში მისვლა, სადაც გამზადებული მონაცემები დახვდებათ და დოკუმენტაციის შევსებაში დაეხმარებიან, – განაცხადა დარახველიძემ.

მისივე თქმით, რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებაზე განაცხადების მიღების ვადა 2010 წლის 1 იანვარს ამოიწურა.

– 8900 ადამიანმა შემოიტანა განაცხადი, აქედან, 1053 აქვს რეპატრიანტის სტატუსი მინიჭებული, თუმცა მოქალაქეობა არც ერთს არ მიუღია, ვინაიდან აცხადებენ, რომ ინგლისურ და ქართულ ენებზე განაცხადების უშეცდომოდ შევსებას ვერ ახერხებდნენ, ახლა ამ პროცესში საკონსულოს თანამშრომელი დაეხმარებათ და ეს საკითხი მათთვის გამარტივდება, – განაცხადა დარახველიძემ.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე ბათუმში ჩავიდა და 2006 წელს სასტუმროებიდან გამოსახლებულ დევნილებს შეხვდა.

როგორც დარახველიძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, დევნილები საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებას ითხოვენ, თუმცა ეს პრობლემური საკითხია.

– ისინი 2006 წელს იქნენ გამოსახლებული სხვადასხვა სასტუმროებიდან და კომპენსაციის სახით გადაეცათ 7 ათასი დოლარის ეკვივალენტი ლარებში. მათ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, სადაც ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფომ მათ წინაშე ვალი მოიხადა და სამომავლოდ, საცხოვრებელი ფართის ან ფულადი კომპენსაციის გადაცემას არ ექვემდებარებიან, თუმცა ეს დევნილები ახლა აცხადებენ, რომ ეს მათი უფლებების უხეში დარღვევით მოხდა და თავიდან მოითხოვენ მათი საკითხის განხილვას. ამ საკითხზე სასაუბროდ მივდივარ მათთან ბათუმში, განვიხილავთ ჩვენს შესაძლებლობებს. პრემიერ-მინისტრის მიერ გაცემულია დავალება, რომ კანონის ფარგლებში მოიძებნოს ყველანაირი შესაძლებლობა ამ ადამიანების პრობლემის მოსაგვარებლად. რაზე შევთანხმდებით არ ვიცი, რადგან ჩვენ გვყავს 60 ათასამდე ოჯახი, რომლებსაც საერთოდ არაფერი მიუღიათ და მათი უფლებები დაცული უნდა იქნას. თუმცა ამ ადამიანების მდგომარეობა რთულია, დაეხარჯათ ის ფული და საცხოვრებელი ფართი არ აქვთ, – განაცხადა დარახველიძემ და აღნიშნა, რომ ამ საკითხს აჭარის ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთადაც განიხილავს და შეეცდება, როგორმე გამოსავალი იპოვოს.

ხელფასებსა და პრემიებზე ჟურნალისტებთან ასევე ისაუბრა საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ. მისი განცხადებით, საგარეო უწყებაში დაბალი ხელფასები იყო და პრემიებით ხდებოდა მათი დაბალანსება.

– ჩვენი პოლიტიკა ამასთან დაკავშირებით გამორჩეული ნამდვილად არ არის, ვინაიდან ძალიან დაბალი ხელფასები იყო, პრემიებით ხდებოდა ამის დაბალანსება. ეს ფაქტიურად, პრემიაც არ იყო, არამედ სახელფასო დანამატი. ზოგადად, ჩემი აზრით, პრემია წახალისების მიზნით უნდა გაიცემოდეს, უნდა იყოს დაბალანსებული, იმედი მაქვს, მომავალში ასეც იქნება, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაც პრესას აინტერესებდა, ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით იუნესკოს გადაწყვეტილება იყო. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას განცხადებით, „მცხეთა ომისაგან დაცული ქალაქების რიგში უნდა შევიდეს“.

– მცხეთა უნდა შევიდეს ომისაგან დაცული ზონის, ქალაქების რიგში. ეს ჩვენთვის უმთავრესია. იმ ქალაქში, რომელიც ომისგან დაცული ქალაქების რიცხვშია შესული, თუ რომელიმე სხვა სახელმწიფომ ტანკი შეიყვანა, ან ავტომატი ისროლა, ის უკვე ჰააგის ტრიბუნალის წინაშე წარდგება, – განაცხადა ოდიშარიამ.

მინისტრი ბაგრატის ტაძრის შესახებ იუნესკოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, აღნიშნული ძეგლის თავდაპირველი იერსახე საბოლოოდ განადგურდა და მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მყოფი ძეგლების კრიტერიუმებს ველარ დააკმაყოფილებს.

– იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ბაგრატის რესტავრაცია მიმდინარეობდა, იუნესკოდან უამრავი რჩევა იყო, რომ სამუშაოები სიჩქარის გარეშე წარმართულიყო. შემდეგ ბატონი ბრუნო, რომელიც შესანიშნავი არქიტექტორია, გვიან ჩაება სამუშაოებში. ის, რაც მან გააკეთა, კარგი გაკეთებულია, თუმცა მაინც არის შეუსაბამობა, – აღნიშნა ოდიშარიამ.

# მერაბიშვილი გირგვლიანის საქმეზე დაკითხეს

შორენა კოწოწაშვილი

ყოფილი პრემიერი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი მის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს და თავს პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევს. მერაბიშვილი დარწმუნებულია, რომ მთავარი პროკურატურა მის წინააღმდეგ ვერანაირ მტკიცებულებებს ვერ დადებს და შესაბამისად, მისი როგორც პოლიტიკური ლიდერის, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის რეიტინგი გაიზრდება. ეს კი პატიმრობაში მყოფ სააკაშვილის ხელისუფლების ხერხემალს, იმედს აძლევს, რომ მის ქუჩაზე კიდევ ერთხელ მოვა გაზაფხული და ეს მისი ზეობის პერიოდში მოღვაწე პროკურორების და მოსამართლეების წყალობით მოხდება.



მერაბიშვილისგან განსხვავებით ფიქრობს საზოგადოების უდიდესი ნაწილი და ხელისუფლებაში მოსული ,,ქართული ოცნება'', რომლისთვისაც მართლაც ღირსების საქმე იქნება ისეთ გახმაურებულ მკვლელობებზე, როგორიცაა ზურაბ ჟვანიას, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის და ა.შ., სამართლიანი და ობიექტური განაჩენები დააყენოს ანუ აღსრულდეს საზოგადოების დაკვეთა და სამართალმა პური ჭამოს. ეს კი არც ისე იოლია, თუ გავითვალისწინებთ დასავლეთიდან გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების აქტიურ ჩარევას და მოთოვნას, რომ სააკაშვილის მაღალჩინოსნები, მათ შორის, დედაქალაქის მერი, გიგი უგულავა არ იქნეს დაპატიმრებული. როგორც უმრავლესობის წევრები პირად საუბრებში აღნიშნავენ, სწორედ უცხოელები იცავდნენ თავგამოდებით გიგი უგულავას, რომ მის მიმართ პროკურატურას აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა არ მოეთხოვა და თავმომწონე უგულავა, რომელიც პრეზიდენტობის ამბიციებით იყო შეპყრობილი, გისოსებს მიღმა არ აღმოჩენილიყო იმ პატიმრების გვერდით, რომელსაც უგულავას და მერაბიშვილის ხელისუფლება ცოცხებით აუპატიურებდა და საჭიროებისამებრ სისხლისღვრასაც არ ერიდებოდა.

ასე რომ, საკმაოდ რთული პერიოდია. აშკარაა, რომ საპარლამენტო უმრავლესობას და ივანიშვილის კანიბეტს უჭირთ მკვეთრი და რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, რადგანაც ეკონომიკა, ბიზნესი ჯერ კიდევ ნაციონალების ხელში რჩება და ეკონომიკური საბოტაჟის ნიშნებიც მეტ-ნაკლები სიმწვავით სახეზეა.

ვინ იფიქრებდა, საპარლამენტო არჩევნებამდე, რომ მერაბიშვილი ვიღაცეებს შეეხვეწებოდა ტელევიზორი დამიდგით და პირველ თქმაზე, თუ ეს არ გაკეთდებოდა, ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად მას პროტესტის უკიდურესი ფორმის, შიმშილობის დაწყება დასჭირდებოდა?!

მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მუდმივად აპელირებენ, რომ სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიება წინ მიიწევს და რომ ამ საქმეზე ბრალი ვანო მერაბიშვილსაც წარედგინება.

გუშინ ე.წ. მატროსოვის ციხეში ვანო მერაბიშვილი კიდევ ერთხელ დაიკითხა. მერაბიშვილს კითხვები სწორედ გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით დაუსვევს. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფს გირგვლიანის საქმეზე გამომძიებლისთვის არანაირი ინფორმაცია არ მიუწოდებია.

– დაკითხვისას ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ აზრი არ აქვს, მისგან რაიმე ინფორმაციის მიწოდებას, რადგან მასზე ხორციელდება პოლიტიკური დევნა და რაც უნდა თქვას, მის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. შესაბამისად, დაკითხვა დეტალებში არ შესულა, – განაცხადა ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა.

ადვოკატის ინფორმაციით, ყოფილი პრემიერი ე.წ. მატროსოვის ციხეში 19 ივნისს დაკითხეს. გიორგი ჩივიაშვილისთვის უცნობია, წაუყენებენ თუ არა ბრალს ვანო მერაბიშვილს სანდრო გირგვლიანის საქმეზე.

– ის, რომ ბრალი უნდა წაუყენონ არჩილ კბილაშვილმა დააანონსა. სხვა მხრივ, ეს საკითხი ჩამთვის უცნობია, – განაცხადა ვანო მერაბიშვილის ინტერესების დამცველმა გიორგი ჩივიაშვილმა.

ეს, რაც შეეხება თავად ვანო მერაბიშვილს, მისი მეუღლე თაკო სალაყაია კი, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში გირგვლისნის საქმის განხილივის დროს ჩვენების მისაცემად გაძლიერებული დაცვის თანხლებით მოვიდა და ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთება არ იკადრა, დღეს ვითარებიდან გამომდინარე ცდლოლობს, პრესით მისი და მისი ოჯახის ინტერსებისთვის სასურველი ინფორმაცია გაავრცელოს.

თაკო სალაყაია რადიოინტერვიუში აცხადებს, რომ მისი ოჯახი პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლია, რასაც ისინი ღირსეულად გაუძლებენ.

თაკო სალაყაია ბრალდებული მეუღლის, ვანო მერაბიშვილის ციხეში მონახულების ნებართვას ითხოვს, თუმცა ამ დრომდე პასუხი არ მიუღია.

– ჩვენი ოჯახი პოლიტიკური ზეწოლისა და ანგარიშსწორების მსხვერპლია. ხელისუფლება ცდილობს ე.წ. ძალადობრივი სისიტემის შემქმნელებად გამოგვაცხადოს. პირადად მე ყოველდღე მესმის ჩემი მეუღლის და ჩემი მისამართით გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებები. ყველა ბრალდება აბსურდია. მე, პირადად, მინდა, რომ ყველა ძალადობის ფაქტი, რომელზეც საზოგადოება საუბრობს, რომელზეც პოლიტიკოდები საუბრობენ, ობიექტურად იქნას გამოძიებული, რომ დადგინდეს სიმართლე. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ჩემი ოჯახი პოლიტიკური ზეწოლის და ანგარიშსწორების მსხვერპლია, რასაც ჩვენ ღირსეულად გავუძლებთ და ვანო თავის სიმართლეს დაამტკიცებს, – აცხადებს მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია, რომლის სისიხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემასაც ამაოდ ითხოვდა საკამოდ დიდი ხნის მანძილზე სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე.

საინტერესოა, რატომ არ გაუჩნდა პროტესტი ძლევამოსილი მერაბისვილის მეუღლეს მაშინ, როცა იგივე გირგვლიანის საქმის სასამართლო განხილვის დროს, როცა სატელეფონო სამართალი ხორციელდებოდა და ალანია, აფციაური და სხვა ბრალდებულები, მისი მეუღლის და იმ რეჟიმის ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა ბრალდებულებისგან განსხვავებით კომფორტულ პირობებში რომ იყვნენ?

# ,,იხსენით ჯანდაცვა მერიის კლანჭებისგან''

დასაწყისი მე-4 გვერდზე

და შემდეგ გასხვისება ისეთ კომპანიებზე, რომელთა მესვეურები თავად არიან მოვალეთა რეესტრში, ისეთ კომპანიებზე, რომლებიც ყველა პოზიტიურ პირობას, რომლითაც განსაზღვრული უნდა ყოფილიყო პრივატიზაციის ფაქტი, უგულებელყოფდნენ, დებდნენ ამ არაპრივატიზებულ ობიექტებს კერძო კომერციულ ბანკებში, იღებდნენ თანხებს, ნაწილს ითვისებდნენ, ნაწილს აბრუნებდნენ ე.წ. პრივატიზაციის განხორციელებისთვის. ამაზე პრიმიტიულად, ამაზე პოპულარულ ენაზე ჩვენ არ შეიძლება განვმარტოთ, რომ ეს არის დანაშაული, ხოლო ის, ვინც ამ დანაშაულს არ იძიებს, ის დანაშაულის დამფარავი და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მონაწილეა. მე ვეთანხმები ბატონ გოგის, რომ შედარება არ არის ახალსა და ძველს შორის, მაგრამ ეს პასიურობა გამოიწვევს გაცილებით უფრო დიდ ნიჰილიზმს საზოგადოებაში, რაც გამოუსწორებელ სოციალურ შედეგებამდე მიგვიყვანს. ამიტომ მოვუწოდებ ყველას. ექიმები ძალიან ბევრნი არიან, ჩვენი ინტელიგენციის ხერხემალნი არიან და ყველანი უნდა გამოვიდეთ ასეთ აქციებზე. აქციებმა უნდა მიიღოს პერმანენტული და შეუქცევადი ხასიათი და უნდა დამთავრდეს გამარჯვებით, სამართლიანობის ზეიმით. მე იმედი მაქვს, რომ დღევანდელი დღის შემდეგ კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს დღევანდელი მოთხოვნები.

**მარინე ფანიაშვილი, ექიმი, პროფესორი:**

– აუცილებლად მიიღებს პერმანენტულ ხასიათს ჩვენი აქციები. აქცია გავმართეთ პროკურატურასთან, სადაც მოვითხოვეთ, რომ შეეჩერებინათ უკანონოდ გასხვისებული დაწესებულებების უკანონო ქმედება, რომლებიც ათავისუფლებენ ექიმებს სამსახურიდან და დაწესებულებებს ტოვებენ პაციენტის და მედპერსონალის გარეშე. არც მალავენ და ამბობენ, რომ აინტერესებთ მხოლოდ და მხოლოდ უძრავი ქონება. ცოტა ხანში ჯანდაცვის პირველადი რგოლი, როგორც ასეთი, აღარ იარსებებს. ძალიან დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ.

# ქონების გაფლანგვის ბრალდებით კიდევ ორი მაღალჩინოსანი დააკავეს

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა, დიდი ოდენობით უძრავი ქონების გაფლანგვის ფაქტზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის ვახტანგ ყიფშიძის შემდეგ, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე კახაბერ მელაძე და საკრებულოს აგრარულ საკითხთა ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის კომისიის ყოფილი თავმჯდომარე თეიმურაზ ვოლკოვი დააკავეს

მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულებს ბრალად მცხეთაში, ალმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 2435 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების გაფლანგვა ედებათ.

,,გამოძიებამ დაადგინა, რომ 2008 წლის 12 ნოემბერს, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლმა ვახტანგ ყიფშიძემ, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, კახაბერ მელაძესთან და თეიმურაზ ვოლკოვთან წინასწარი შეთანხმებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები გაფლანგა.

ვახტანგ ყიფშიძეს, კახაბერ მელაძეს და თეიმურაზ ვოლკოვს ბრალს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა'' და ,,დ'' ქვეპუნქტებით და მესამე ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტით წარუდგენენ''– ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

ნიუსპრესი

# დავით უსუფაშვილი ვესტმინისტერის ფონდის ხელმძღვანელებს შეხვდა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და საპარლამენტო დელეგაციის წევრები – თედო ჯაფარიძე და ვიქტორ დოლიძე, დიდ ბრიტანეთში, ვესტმინისტერის დემოკრატიის ფონდის აღმასრულებელ დირექტორს ლინდა დაფილდს და ვესტმინსტერის კონსორციუმის პროგრამის დირექტორს, ჯორჯ კუნათს შეხვდნენ.

,,ფონდის პროგრამები მნიშვნელოვანია პარლამენტარიზმის კულტურის დასამკვიდრებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქართველოს საპარლამენტო მმართველობის სისტემისკენ მიისწრაფვის. მრავალპარტიული კოალიცია პარლამენტარიზმის მომხრეა და საკანონმდებლო ორგანოს როლი ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ხალხში, სამოქალაქო საზოგადოებაში, გაჩნდა მოლოდინი, რომ პარლამენტი ბოლოს და ბოლოს თავის როლს შეასრულებს და გახდება ის ადგილი, სადაც ნამდვილი პოლიტიკური პროცესები წარიმართება''– განაცხადა უსუფაშვილმა.

მედიანიუსი

# შსს-ს წარმომადგენლები კნუტ ვოლებეკთან ერთად ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებს ეწვივნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები, ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთო-ს უმაღლეს კომისარ კნუტ ვოლებეკთან ერთად, ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებს – დიცსა და დიდ ხურვალეთს ეწვივნენ, სადაც რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ უკანონოდ გავლებული მავთულხლართები დაათვალიერეს, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის დასრულების შემდეგ, ეუთო-ს უმაღლესმა კომისარმა აღნიშნა, რომ ნანახით ძალზე შეშფოთებულია, რადგან მოხდა ოჯახების, ეზოების გაყოფა და ადგილობრივ მოსახლეობას უამრავი საჭირბოროტო პრობლემა შეექმნა.

კერძოდ, ისინი შეზღუდული არიან წყლის რესურსების გამოყენებაში, ახლობლების საფლავების მონახულებასა და თავისუფალ გადაადგილებაში. უმაღლესი კომისრის თქმით, მიმდინარე პროცესი მათი უსაფრთხოების საკითხსაც ეხება.

ვოლებეკმა იმედი გამოთქვა, რომ ეს პროცესი შეჩერდება.

ნიუსპრესი

# სამტრედიის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ,,ნაციონალურ მოძრაობას'' ტოვებს

სამტრედიის საკრებულოს ფრაქცია ,,მაჟორიტარების'' თავმჯდომარე მიხეილ ნიკოლეიშვილი ,,ნაციონალურ მოძრაობას'' ტოვებს და საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებზე მხარს ,,ქართული ოცნების'' კანდიდატს დაუჭერს. ამის შესახებ ნიკოლეიშვილმა ,,ნიუსპრესთან'' საუბარში განაცხადა.

,,მე უკვე დიდი ხანია ამ გადაწყვეტილების მიღებაზე ვფიქრობდი, მაგრამ ვინაიდან საკრებულოში ,,ნაციონალური მოძრაობის'' წევრი 22 კაცი იყო, საიდანაც ყველა ერთმანეთის მეგობარი და ახლობელია, – გადაწყვეტილების მიღება მიჭირდა. ფარული ჩანაწერების, ხალხის გაუპატიურების და ამ ამაზრზენი სიტუაციების გამო, მე ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში'' ვეღარ დავრჩები. მივიღე გადაწყვეტილება, რომ ,,ნაციონალურ მოძრაობას'' გავემიჯნო და ხვალ, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებზე მხარი ,,ქართული ოცნების'' კანდიდატს დავუჭირო'' – განაცხადა ფრაქცია ,,მაჟორიტარების'' თავმჯდომარემ.

ნიუსპრესი

# გია ვოლსკი: ,,ვიდეოკადრები სააკაშვილის ხელისუფლების სისტემურ დანაშაულს ასახავს''



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი ვოლსკი, სამეგრელოში აღმოჩენილ სამალავებში ნაპოვნ ვიდეომასალას, სადაც ადამიანებზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის ფაქტებია ასახული, სააკაშვილის ხელისუფლების სისტემურ დანაშაულად აფასებს.

ამის შესახებ გია ვოლსკიმ სააგენტო ,,ნიუსპრესთან'' საუბარში განაცხადა.

,,გიგა ნასარიძისა გარდა, რომელმაც ამ ყველაფერს ერთეულების მიერ მოგონილი ისტორია უწოდა, არა მგონია არსებობდეს ადამიანი, ვინც ამ სამალავებისა და ძალადობის შესახებ ჩანაწერების არსებობას დანაშაულად არ მიიჩნევდეს. ეს ყველაფერი არამარტო კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი სერიოზული დანაშაულია, არამედ, ეროვნული უსაფრთხოების საკითხს ეხება და იარაღი რომ არ აღმოეჩინათ, შესაძლოა, ყველაფერი ძალიან ცუდად დასრულებულიყო'' – განაცხადა ,,ნიუსპრესთან'' საუბარში დეპუტატმა.

ნიუსპრესი

# ,,ამერიკის ელჩი შოკირებულია''



ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილის ბრიჯიტ ბრინკის განცხადებით, ის და ელჩი გაოგნებული და შოკირებული არიან იმ ინფორმაციით, რომელიც საელჩოს თანამშრომლებმა სამალავში აღმოჩენილი ვიდეომასალების ნახვის შემდეგ გადასცეს.

მისივე თქმით აუცილებელია, რომ ამ ვიდეოების ავთენტურობა დადგინდეს.

,,მე და ამერიკის ელჩი შოკირებულები და გაოგნებულები ვართ იმ ინფორმაციით, რომელიც საელჩოს თანამშრომლებმა ვიდეომასალების ნახვის შემდეგ გადმოგვცეს. ვფიქრობ რომ აუცილებელია გამოძიება ბოლომდე დასრულდეს და ყველა ის პირი დაისაჯოს, ვინც ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა. მე როგორც ამერიკის ელჩის მოადგილე, რეკომენდაციას ვაძლევ საქართველოს მთავრობასა და ძალოვან სტრუქტურებს, რათა დადგინდეს ამ ვიდეოების ავთენტურობა. რაც შეეხება ამ სამალავებში აღმოჩენილ და მასთან ერთად სხვა, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო მასალის განადგურებას, გადაწყვეტილება ამის შესახებ საქართველოს საზოგადოებამ უნდა მიიღოს''– განაცხადა ბრიჯიტ ბრინკმა.

ნიუსპრესი



# ნიკა მელია: „ჩემი დადანაშაულება ხულიგნობაში უსაფუძვლოა“

შორენა გონგლაძე

თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე კლუბ-რესტორან „ლა ტრუფეში“ 12 მაისის ღამეს რესტორან „ლა ტრუფე“-ში 12 მაისის ღამეს მომხდარი ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე, ძველი თბილისის გამგებლის, ნიკა მელიას განცხადებით, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადამიანები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, მხოლოდ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდნენ.

მომხდარი დაპირისპირების დროს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, დეპუტატები გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე და სამეგრელოს ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია დაშავდნენ, რომლებიც იმ ღამესვე რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც მელიამ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სამი მოწმისგან ერთ-ერთი პოლიციამ ცოტა ხნის წინ ნარკოტიკების შენახვა-მოხმარებისთვის დააკავა.

— მე ხულიგნობის მუხლით მაქვს ბრალი წაყენებული. საქმეში არის უამრავი მოწმე და მათგან მხოლოდ სამი მოწმის ჩვენების მიხედვით ხდება ეს ყველაფერი. იმდენად აბსურდულია მათი ჩვენებები, რომ არ შეიძლება ამას იუმორის გარეშე შეხედო. ამ ადამიანების მდგომარეობიდან გამომდინარე, მე მქონდა ეჭვი, რომ ისინი იმ დღეს მხოლოდ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდნენ. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ერთ-ერთი მათგანი ნარკოტიკების შენახვა-მოხმარებისთვის დააკავეს და 5– ათას ლარიანი გირაოს საფუძველზე გათავისუფლდა, — აცხადებს მელია.

მელია თავიდანვე აცხადებდა, რომ შელაპარაკების პროვოცირებაში მისი დადანაშაულება უსაფუძვლოა, რადგან რესტორანში ინციდენტამდე ხუთი წუთით ადრე მივიდა.

— იმ მაგიდასთან ჩემთვის სრულიად უცნობი ხალხი იჯდა. ცოტა ხნის მისული ვიყავი ჩემს მეგობრებთან და მათ მეუღლეებთან ერთად და ცალკე მაგიდასთან ვისხედით. ყველა მაგიდა იყო დაკავებული და სხვადასხვა მაგიდასთან ჩემი ბევრი ნაცნობი თუ ახლობელი იჯდა. ის მაგიდა კი, სადაც გიორგობიანი და ბაკურია ისხდნენ, არც კი შემიმჩნევია, — ამბობს ნიკა მელია. მისივე თქმით, დავით საყვარელიძესა და გიორგი ვაშაძესთან პირისპირ სასაუბროდ რესტორნის მეორე სართულზე ადიოდა, რა დროსაც აღნიშნული მაგიდის წევრებიდან ერთ-ერთმა ხელით გააჩერა და არაადეკვატური კითხვები დაუსვა.

— მკითხა, რომელი რაიონის გამგებელი ვიყავი და ა.შ. ისინი იყვნენ პათოლოგიურად ნასვამ მდგომარეობაში და პროვოკაციულ კითხვებს სვამდნენ. თუმცა, მე თავაზიანად, მხარზე ხელის დადებით დავემშვიდობე და გასვლას ვაპირებდი, რის შემდეგაც მითხრა, რა უფლებით მადებ ხელს. ის, რომ მათ მაგიდასთან სისტემატურად მივდიოდი, აბსურდია, რადგან ხუთი წუთის მისული ვიყავი და საერთოდაც რა მინდოდა მაგიდასთან, სადაც არავის ვიცნობდი, — აცხადებს მელია. მისივე ინფორმაციით, ყველაზე აგრესიულად იქცეოდა ქალი დანა-ჩანგლით ხელში, რომელიც ერთ-ერთი სუფრის წევრ ქალს დაუპირისპირდა და ჩხუბი იატაკზე გაგრძელდა. როგორც ნიკა მელიამ აღნიშნა, შთაბეჭდილება დარჩა, რომ ქალბატონი ვიღაცას ეძებდა, რადგან პათოლოგიურ სიმთვრალეში იყო გადასული.

— რა თქმა უნდა, ეს არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ ჩემი დადანაშაულება ინციდენტის წამოწყებაში და მათ მაგიდასთან სისტემატურად მისვლაში, უსაფუძვლოა. ჩვენს მაგიდასთან ვისხედით ხუთნი – ჩემი მეგობრები და მათი მეუღლეები. არ იყო ისეთი სიტუაცია, რომ ჩხუბი ვინმეს წამოეწყო. მათი ზედმეტი გადათრობა რომ არა, დარწმუნებული ვარ, არაფერი მოხდებოდა. პირიქით, ჩვენ ვცდილობდით ამ სიტუაციის ჩაცხრობას და ხალხის დაშოშმინებას. ამ ქალბატონისთვის ხელი არავის დაურტყამს. რაც შეეხება ბაკურიას, სიტყვიერი აგრესიის მიუხედავად, არც მისთვის დაურტყამს ვინმეს. პარალელურ რეჟიმში ისმოდა მისი მოწოდებები, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხელი არ დაერტყათ. დღეს ტრაგიკომიკური სიტუაციაა, როდესაც მე მადანაშაულებს ქალბატონი, რომელიც არც კი შემიმჩნევია, — აცხადებს ნიკა მელიამ.

მელიას ხულიგნობის მუხლით წარედგინა ბრალი, როგორც მელია აცხადებს მისი სასამართლო პოროცესი დღეს ან ხვალ გაიმართება. „ლა ტრუფე“-ში მომხდარი დაპირისპირების ერთ-ერთი მონაწილე მანანა გიორგობიანი ძველი თბილისის გამგებლის, ნიკა მელიას განცხადებას აბსურდულს უწოდებს.

როგორც „პრაიმტაიმ“-თან საუბარში გიორგობიანმა აღნიშნა, მათ ნარკოტესტიც ჩაბარებული აქვთ.

— ნარკოტესტიც ჩაბარებული გვაქვს, ეს მაშინვე მოხდა. მელიამ მიდებ-მოდებას თავი დაანებოს, მისი მეგობარი იყო ის ადამიანი, რომელიც მე ფიზიკურად დამიპირისპირდა. რაც შეეხება იმას, რომ ერთ-ერთი ადამიანი ნარკოტიკების ტარება-მოხმარებისთვის დააკავეს, ამაზე არაფერი არ ვიცი, — აცხადებს გიორგობიანი.

# ირაკლი კაკაბაძე; „დათო პაიჭაძეს, ეკა კვესიტაძეს და მსგავს პოლიტიკურ მეძავებს არანაირი უფლება არა აქვთ, საზოგადოებას ჭკუა ასწავლონ“–



უფლებადამცველ ირაკლი კაკაბაძის განცხადებით, ადამიანებს, რომელიც ამ ცხრა წლის განმავლობაში, პოლიტიკური მეძავობით იყვნენ დაკავებული და ფაშისტურ რეჟიმს „აპრავებდნენ“, დღეს არ აქვთ უფლება, გამოვიდნენ და საზოგადოებას ჭკუა ასწავლონ.

ამის შესახებ ირაკლი კაკაბაძემ შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ჟურნალისტებთან და არასამთავრომო ორგანიზაციებთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„ჩემი პრინციპული პოზიციაა, რომ დათო პაიჭაძეს, ეკა კვესიტაძეს და მსგავს პოლიტიკურ მეძავებს, რომლებიც ფაშისტურ რეჟიმს პირდაპირ იცავდნენ, არანაირი უფლება არ აქვთ, საზოგადოებას ჭკუა ასწავლონ. ამ პოზიციაზე ვდგავარ ახლა და ჩვენ, ქართველი ხალხის 90 პროცენტი, ახლა ამ დემაგოგების მიმართ პირდაპირ შეტევაზე გადავდივართ და მათ ცივილიზებული ფორმით პასუხისგებას მოვითხოვთ“, — განაცხადა კაკაბაძემ.

მისი თქმით, ძალადობის და ადამიანთა წამების შემსრულებლები, ასევე დამკვეთები მკაცრად უნდა დაისაჯონ.

„მხოლოდ ამის შემდეგ ვიქნებით სრულფასოვანი ერი“, — აღნიშნა ირაკლი კაკაბაძემ.

შეგახსენებთ, რომ გუშინ საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებმა ეკა კვესიტაძემ და დათო პაიჭაძემ შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრა დატოვა. ეკა კვესიტაძის თქმით, ირაკლი კაკაბაძემ ჟურნალისტ შალვა რამიშვილთან ერთად ცირკი მოაწყო და ის ამ ცირკში მონაწილეობას არ მიიღებდა.

**მედიანიუსი**

# ნანა დევდარიანი: „მეოცნებეების მთავარი საზრუნავი ნაციონალების გადარჩენა გახდა“

ნონა ცაბაძე



**ექსპერტი ნანა დევდარიანი მიიჩნევს, რომ დღეს სამალავიდან ამოღებული კადრების გამოფენა არანაკლები დანაშაულია, ვიდრე თავის დროზე ამის დამზადება. დღეს ამის გამოფენა და საზოგადოებისთვის წარდგენა არაფრით არ შეიძლება. არც განადგურება შეიძლება, იმიტომ, რომ ეს არის კონკრეტული დანაშაულის ნივთმტკიცება, — მიიჩნევს ყოფილი სახალხო დამცველი.**

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ამის განადგურება არ შეიძლება?***

— ეს არის ნივთმტკიცება. თუმცა რომც განადგურდეს, კაცმა არ იცის, ასეთი სამალავი კიდევ რამდენია და ამ კადრების რამდენი ასლი არსებობს. ახლა ამის განადგურების მოთხოვნა ნიშნავს იმას, რომ არ ჰქონდეთ ეს მასალა სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ ჰქონდეთ ვიღაც გაურკვეველ პიროვნებებს. სახელმწიფო ვალდებულია, რომ დაიცვას ნივთმტკიცებები. ამის გარეშე ვერავის ვერ დასჯი, ელემენტარულად რომ ვთქვათ. თვალთვალი და მიყურადება წინა ხელისუფლების პოლიტიკა იყო. აგროვებდნენ ამ მასალებს და მერე არაერთხელ ვყოფილვართ მომსწრეები როგორ დაუჭრიათ ეს ჩანაწერები და შეუთითხნიათ არაერთი ბრალდება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს აბლოლიტური ამორალიზმია, ასეთი მასალის დაგროვება და შენახვა. მართალია მე არვიცი ეს რას ეხება, ინტიმური ცხოვრების ამსახველია თუ წამების შემცველი მასალებია, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს არის უბედურება. ეჭვი ხომ არავის ეპარება იმაში, რომ ეგენი ერთმანეთსაც დააშანტაჟებდნენ და სხვასაც.

***— რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?***

— ახლა რომ არ დავწვრილმანდეთ, მთლიანობაში ამ ყველაფერზე პასუხს აგებს ყოფილი ხელისუფლება და დღევანდელი პრეზიდენტი, რომლის გარეშეც ეს ყველაფერი არ მოხდებოდა. სულ ცოტა მისი მდუმარე თანხმობა იყო საჭირო. ხოლო თუ ცოტა მეტს ვივარაუდებთ, ალბათ გარკვეული ბრძანებების და მითითებების გაცემა. დღეს ნაციონალები გაღმას შემოგედავეს პრინციპით მოქმედებენ, რომ აი, გამოიძიოს ახალმა ხელისუფლებამ ეს ფაქტები. გუშინ ეთერში დარჩიაშვილს ვუყურებდი და გია ვოლსკის ეუბნეოდა, რომ გამოიძიოს ახალმა ხელისუფლებამ ჟვანიას საქმე, რა გახდა ბოლოს და ბოლოს. თვითონ რვა წელიწადი რ გამოუძიებიათ და რვა თვეში უნდა გამოეძიებინათ ამათ, ხომ? საკუთარ ნამოქმედარზეც კი ამათ სთხოვენ პასუხს. ეს უკვე არის უტიფრობის ზეიმი და სხვა არაფერი.

***— ჩვენ გვესმის ამერიკის ელჩის განცხადება, რომ თუ დადგინდა, რომ ეს სიმართლეა უმკაცრესად უნდა დაისაჯონ ამის ჩამდენებიო, რა ხდება, გაიღვიძეს?***

— დღეს უკვე იძულებულები არიან, რომ ასე თქვან. აბა, ხომ ვერ იტყვის, რომ არ უნდა დაისაჯონო. მაგრამ დათქმებია თუ გაირკვა, რომ... რა გარკვევა უნდა ამას? მე და შენ რომ ვერ გავაკეთებდით და ამას ძალაუფლების მქონე ხალხი აკეთებდა, ამას არანაირი ფიცი მტკიცი არ სჭირდება. დღეს ეს ყველაფერზე მნიშვნელოვანი არის ჩვენი მოსახლეობის პოზიცია, რომელიც ძალიან დიდხანს ითმენდა ამ ყველაფერს. ახლა უკვე ამის მოთმენა, თვალის დახუჭვა და ვითომ არაფერი მომხდარა, წარმოუდგენელია. აბა ამ დიპლომატებმა თუ კონგრესმენებმა საკუთარი თავი ჩააყენონ იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ქართველი ხალხი იყო და მერე ილაპარაკონ.

***— საზოგადოება უკვე დიდი ხანია ითხოვს სამართლიანობის აღდგენას და რეჟიმის გასამართლებას, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ ხერხდება...***

— ყველა შემთხვევაში ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ყველა ეს საკითხი უნდა დადგეს უმკაცრესად დღის წესრიგში. ზოგადი შეფასება – რეჟიმი უნდა გასამართლდეს, ამაზე კი არ არის ლაპარაკი. ეს არის სამოქალაქო პოზიცია, რომ ის რეჟიმი გაასამართლე, ამას გეუბნება შენ საზოგადოების კარგა გვარიანი ნაწილი, როგორც ხელისუფლებას. მაგრამ შენი, როგორც ხელისუფლების მოვალეობაა, კონკრეტული დანაშაულობები გახსნა და მათ მიხედვით მოხდეს უკვე სამართლებრივი შეფასება. როცა ასეთი ფაქტები ძალიან ბევრია და ნამდვილად ბევრია. მარტო პროკურატურაში, თითქმის 20 ათასამდე განცხადებაა შესული. ეს რაოდენობა მერე უკვე გადადის ხარისხში.

***— რატომ ჭიანურდება ეს პროცესი და რატომ უნდა მოხდეს მაინცდამაინც ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, არის ხელისშემშლელი ფაქტორები?***

— როგორ არ არის, ჯერჯერობით მოქმედი პრეზიდენტია, ასევე უამრავი ნაციონალია, რომელიც გაყუჩებულია, მაგრამ შეხედულება არ შეუცვლია და რევანშისტული განწყობილება ამოძრავებს. ხელისშემშლელი ფაქტორები არის, მით უმეტეს, ჰიპერაქტიული პრეზიდენტის პირობებში, რომელიც ყველა საშუალებას და ამ წლების განმავლობაში შეძენილ კონტაქტებს იყენებს დღევანდელი ხელისუფლების და უფრო მეტად კიდევ ქვეყნის წინააღმდეგ.

***— გამოდის, რომ მთლიანი წმენდა უნდა მოხდეს, რომ გასუფთავდეს სახელმწიფო სტრუქტურები?***

— რა თქმა უნდა, ეს ხალხი 9 წელიწადი მუშაობდა, ზოგი ეგუებოდა რეჟიმს, ზოგი ვერ ეგუებოდა. ვინც ვერ ეგუებოდა ამ დანაშაულობებს და აი, ამ მდგომარეობას, ის არ მუშაობდა სახელმწიფო სტრუქტურებში. ან თვითონ მოდიოდა, ტოვებდა სამსახურს, ან უშვებდნენ სამსახურიდან. ვინც იყო, მეტნაკლებად ყველა იყო შეგუებული იმ სიტუაციას...

***— და თანამონაწილეც, ალბათ...***

— ხო, მეტად ან ნაკლებად. ახლა ეს არის გასარკვევი, სად არის მართლაც დანაშაული, სად არის გადაცდომა და სად რის ნაკლებად ზნეობრივი საქციელი კომფრომიზმის სახით. აი, ეს უნდა გაირკვეს, თორემ, მე არასოდეს არ ვყოფილვარ იმის მომხრე, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანი სამსახურიდან გაუშვა. სახალხო დამცველის ოფისში რომ მივედი, მე არავინ არ გამისვია სამსახურიდან. მერე და მერე, ვინც მუშაობას და რიტმს ვერ აუწყო ფეხი, ზოგიერთი თვითონ წავიდა. თორემ ასეთი ნიშნით არასოდეს არ ვყოფილვარ მომხრე ადამიანების გათავისუფლების მარა, ისეთ სტრუქტურებში, რომელსაც ძალოვან სტრუქტურებს უძახიან, სადაც ყველაზე იოლია ადამიანის უფლებების დარღვევა და ყველაზე მეტი საშუალება აქვთ ამის, იქ ძალიან სკურპულოზური შეხედვა უნდა ამ ყველაფერს. საუბარი იმაზე, რომ შევარდნაძის დროინდელი ხალხი მოვიდა, შევარდნაძის დროინდელები არიან თვითონ! აბა, ვისი დროინდელები არიან, მარსიდან ხომ არ ჩამოსულან? მაგათი, ნაციონალების კარიერა დაიწყო შევარდნაძის დროს და დღეს სხვას ნუ უთითებენ მაგას, რომ შევარდნაძის დროინდელი კადრები მოიყვანა ღარიბაშვილმა. თავიანთ კადრებს მიხედონ. ხალხი რომ არ ჰყავდათ და იმდენად არავის ენდობოდნენ, რომ ერთი და იგივე ხალხს კარუსელებზე ატრიალებდა გაუთავებლად სააკაშვილი. დღეს ამდენს რომ ბედავენ, ეს არის საზოგადოებისთვის სილის გაწვნა. სხვა თუ არაფერი, მოდით, ასე ვთქვათ, პარლამენტი რა არის? პარლამენტი არის ადგილი, სადაც კამათობენ. შენ თუ არ გაქვს იმის თავი, რომ კამათში მოუგო და თავისი ადგილი მიუჩინო, იმ ძველი ხელისუფლების წარმომადგენელს, უკვე მოსახლეობაში აგრესია ჩნდება შენ მიმართ. მაშინ რა გინდა პარლამენტში?! იქ აბა, სხვა არაფერი კეთდება. აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის, რომ კონკრეტული დარგების მიხედვით გადაწყვეტილებები მიიღოს და დარგი აამოძრაოს. პარლამენტი არის შეხედულებების დაპირისპირების ადგილი და იქ უნდა მოიპოვო შენ მოლარული გამარჯვება და უსუფაშვილი რომ ამბობდა იურისტები მაკლია პარლამენტშიო, იურისტები კი არ აკლია, პოლიტიკოსები აკლია იქ. აუცილებელია, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს, მართალია ეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე არ მოესწრება, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება თუ არა ეს გასაკეთებელია და აგერ ბურჯანაძე პირდაპირ ამბობს, რომ აპირებს ამის გაკეთებას, რომ აუცილებლად დასვამს ამ საკითხს და ეს არის ერთადერთი სწორი გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან. მარტო იმიტომ კი არა, რომ ნაციონალები 40%-ით არ პასუხობს საზოგადოების განწყობას, არამედ იმიტომაც, რომ ოცნებაც აღარ პასუხობს ამ კონფიგურაციით ამომრჩევლის მოთხოვნებს. ამ ხალხს არ ყოფნის პოლიტიკური გამოცდილება, რომ დაუპირისპირდეს გამობრძმედილ რეჟიმს, რომელიც დღეს იბრძვის იმისათვის, რომ ეს სამი წელიწადი კიდევ იტივტივოს, რომ შემდეგ დაბრუნდეს ხელისუფლებაში. და აქეთ პროვოკაციულ კითხვებს სვამენ, რომ რა ახლა დაშლით პარლამენტს? პარლამენტი დაუშლიათ კი არა გადატრიალება მოუწყვიათ 2003 წელს, ხომ გვახსოვს ყველას, არა?

***— ნებით თუ უნებლიეთ უმრავლესობაც ხელს უწყობს მათ ტივტივს...***

— კი, ზოგი პირდაპირ ამბობს, რომ თურმე დემოკრატიის მთავარი ამოცანა საქართველოში ყოფილა ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა და ზოგი ამას არ ამბობს მაგრამ თავისი უმოქმედობით უწყობს ამას ხელს. ქართველ ამომრჩეველს ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა რომ ნდომებოდა, პირველ ოქტომბერს შემოხაზავდა ხუთიანს. ამისთვის არ მიუცია ხალხს ხმა 41 ნომრისთვის.



## მილოცვა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო ჰელსინკის კავშირი წმინდა ილია მართლის საზოგადოება“

გილოცავთ დაბადების დღეს ქალბატონ

**მანანა არჩვაძე–გამსახურდიას**

გისურვებთ ჯანმრთელობასა და გამარჯვებას იმ ბრძოლაში, რომელსაც სათავე ჩაუყარა ზვიად გამსახურდიამ და რომელსაც ქალბატონი მანანა აგრძელებს საქართველოში კანონიერების აღსადგენად.

# რა მოხდა მარეხ ყამბეგაშვილისა და ოლეგ იაძის პროცესზე

სასამართლოში კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში მცხოვრები, კოალიცია ,,ქართული ოცნების'' აქტივისტის მარეხ ყამბეგაშვილის სარჩელის განხილვა დამთავრდა. მოსამართლემ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მარეხ ყამბეგაშვილი კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელს ოლეგ იაძეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაკეთებული განცხადებების გამო უჩივის. ყამბეგაშვილი თვლის, რომ ოლეგ იაძემ საკუთარი გამონათქვამებით მას პატივი და ღირსება შეულახა, ხოლო სანაცვლოდ 50 000 ლარი მოითხოვა.

სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში თანხა ადმინისტრაციულ ორგანოს – მუნიციპალიტეტის საკრებულოს უნდა გადაეხადა. თუმცა შეგებებულ საჩივარში ოლეგ იაძის მხარე აცხადებს, რომ საქმე არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავას, რადგან ოლეგ იაძის ინტერვიუები არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საქმიანობის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის გამოც მოქალაქეს რაიმე სახის ზიანი მიადგა. ,,ეს არის წმინდა სამოქალაქო კერძო დავა'' – აღნიშნავდნენ ოლეგ იაძის და საკრებულოს ადვოკატები.

დეტალები იმ სასამართლო პროცესზე გახდა ცნობილი, რომელსაც ქართლი.გე-ს ჟურნალისტი დაესწრო. საქმე მოსამართლე დავით პაპუაშვილი უძღვებოდა და ადმინისტრაციული წესით იხილებოდა.

მარეხ ყამბეგაშვილის ინტერსებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის ხელმძღვანელი ქეთევან ბებიაშვილი იცავს, ხოლო ოლეგ იაძეს – ადვოკატი, ყოფილი მოსამართლე გოჩა გოჩიტაშვილი. საქმეში მესამე პირად – კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო იყო წარმოდგენილი, რომლის ინტერესებს ამავე საკრებულოს წევრი – ნოდარ ცინცაძე იცავდა.

მარეხ ყამბეგაშვილმა სარჩელს ოლეგ იაძის მიერ მიცემული ინტერვიუების ვიდეო და აუდიო ვერსიები დაურთო. ოლეგ იაძის ინტერესების დამცველმა გოჩა გოჩიტაშვილმაც აღნიშნული მასალების საკუთარი ვერსიები წარადგინა. დაახლოებით საათნახევრიანი მასალის გამოქვეყნება უკვე მოხდა.

ვიდრე საქმის არსებითი განხილვა დაიწყებოდა, მოსამართლე დავით პაპუაშვილს მხარეებს მორიგება შესთავაზა. მარეხ ყამბეგაშვილის განცხადებით, თუ ოლეგ იაძე იმავე მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გამოვა და მის მიერ მიცეულ განმარტებებს უარყოფს, ის მატერიალურ ზიანს – 50 000 ლარს აღარ მოითხოვს.

ადვოკატმა გოჩა გოჩიტაშვილმა მარეხ ყამბეგაშვილს სთხოვა დაეკონკრეტებინა, თუ რომელი წინადადება უნდა უარეყო ოლეგ იაძეს: ,,ჩვენც მოვისმინეთ ბატონი იაძის განცხადებები, იქ საკმაოდ მოზომილად საუბრობს ის და აშკარად ჩანს, რომ საუბრობს უწესო და ჭკუასუსტ ქალებზე. რა უნდა უარყოს ოლეგ იაძემ? თითქოს იმ ქალბატონებში, მარეხ ყამბეგაშვილს რომ არ გულისხმობს?'' – ჰკითხა გოჩა გოჩიტაშვილმა.

კითხვის დაზუსტების მიზნით მოსამართლე დავით პაპუაშვილმაც ყამბეგაშვილის მხარეს იგივე ჰკითხა: ,,გვითხარით კონკრეტული ფრაზა, რომელიც უნდა უარყოს ომარ იაძემ?''

ამაზე ქეთევან ბებიაშვილმა უპასუხა, რომ მართალია ოლეგ იაძე კონკრეტულად მარეხ ყამბეგაშვილის სახელსა და გვარს არ ასახელებს, მაგრამ მთლიანი კონტექსტი, ჟურნალისტის კითხვები და ვითარება, უშუალოდ, ამ ქალბატონს ეხება.

კასპის საკრებულოს იურისტმა ნოდარ ცინცაძემ განაცხადა, რომ მესამე მხარედ მუნიციპალიტეტის ჩართვა უსაფუძვლოა.

,,ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბატონი ოლეგ იაძის მიერ მიცემული ინტერვიუები არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ საქმეში მხარედ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო ჩაერთოს. არც ერთ კანონში და დებულებაში წერია, რომ გამგებლის მიერ ინტერვიუს მიცემა სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ ოლეგ იაძის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებამ (კონკრეტულმა გადაწყვეტილებებმა, ბრძანებებმა ან სხვა) კონკრეტულ პიროვნებას ზიანი მიაყენა, ამ შემთხვევაში პასუხს ადმინისტრაციული ორგანო ნამდვილად აგებს. მაგრამ აქ საქმე გვაქვს ინტერვიუსთან. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ჯერ ერთი ეს საქმე ადმინისტრაციული წესით არ უნდა იხილებოდეს და მეორეც წარმოადგენს კერძო პირების დავას. ვერანაირად დავეთანხმებით იმ აზრს, რომ თუ ოლეგ იაძის მიერ მიცემული ინტერვიუებმა ვინმეს ზიანი მიაყენა, ამაზე პასუხი საკრებულომ უნდა აგოს'' – განაცხადა საკრებულოს იურისტმა ნოდარ ცინცაძემ.

სასამართლოზე დავა გამოიწვია იმ მოწმეების დაკითხვა-არდაკითხვის საკითხმა, რომელიც მოსარჩელე მხარემ წარმოადგინა. მარეხ ყამბეგაშვილის განცხადებით, რაკიღა ოლეგ იაძესთან დაპირისპირება 2012 წლის 5 დეკემბერს დაიწყო, საჭიროა ამ დაპირისპირების შემსწრე პირების დაკითხვა:

,,ჩვენი დაპირისპირება არ დაიწყო ამ ინტერვიუებიდან. ჩვენი დაპირისპირება დაიწყო 5 დეკემბრიდან, როდესაც ვიმყოფებოდით ოლეგ იაძის კაბინეტში და იქ მოგვაყენა შეურაცხყოფა და გამოიწია საცემრად. სამწუხაროდ იქ ჟურნალისტები არ ესწრებოდნენ'' – უთხრა მარეხ ყამბეგაშვილმა მოსამართლეს.

მოსამართლის კითხვაზე, 5 დეკემბრის ფაქტს რა კავშირი აქვს დავის საგანთან, ადვოკატმა ქეთევან ბებიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს დღე მოპასუხეებმა ახსენეს. მოპასუხეები კი ფიქრობენ, რომ ოლეგ იაძის ინტერვიუებს 5 დეკემბრის ფაქტთან არავითარი კავშირი აქვს.

დაახლოებით 2 საათის განმავლობაში დარბაზში ყველა ის ჩანაწერი მოისმინეს, რომელიც ოლეგ იაძის ინტერვიუებს ეხებოდა. საბოლოო ჯამში მოსამართლე დავით პაპუაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის არდაკმაყოფილების თაობაზე. დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლე 2 კვირის განმავლობაში მოამზადებს.

**შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი**

# საგარეჯოს გამგებელს და მის მოადგილეს უფლებამოსილება შეუწყდათ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი ლოლაძეს და მის მოადგილეს ბესიკ მარტიაშვილს პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე უფლებამოსილება შეუწყდათ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ილია ჭიაურელის თქმით, მათთან ერთად უფლებამოსილება შეუწყდათ ზედამხედველობის სამსახურის უფროსს თენგიზ ივანელაშვილს, საკრებულოს მთავარ სპეციალისტს თეიმურაზ ჯინჯიხაძეს და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს დავით ხატიაშვილს.

„პროკურატურამ მოითხოვა, რომ გამოძიების დასრულებამდე ყველა ბრალდებული გადაყენებულიყო დაკავებული თანამდებობიდან. სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა, რის საფუძველზეც საკრებულომ გიორგი ლოლაძეს უფლებამოსილება შეუწყვიტა, დანარჩენი თანამშრომლების შემთხვევაში კი პროკურატურის მოთხოვნა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა დააკმაყოფილა“, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ილია ჭიაურელმა.

მისი თქმით, გამგებლის მოვალეობას მისი მოადგილე ცისმარ თედიაშვილი შეასრულებს.

„დანარჩენი თანამშრომლების დანიშვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უკვე გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მიიღებს“, – აღნიშნა ილია ჭიაურელმა.

შეგახსენებთ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, მისი მოადგილე ბესიკ მარტიაშვილი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი თენგიზ ივანელაშვილი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი დავით ხატიაშვილი, საკრებულოს მთავარი სპეციალისტი თეიმურაზ ჯინჯიხაძე და სამი შპს-ს დირექტორი – რევაზ ბაჩოშვილი, ზაზა მაისურაძე და გიორგი ადუაშვილი 12 ივნისს დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, დაკავებულებს ბრალად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი დიდი ოდენობით თანხის – 80 ათასი ლარის მითვისება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ედებათ.

14 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამგებელი გიორგი ლოლაძე 10 000 ლარიანი გირაოთი გაათავისუფლა, ბესიკ მარტიაშვილს 8 000 ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა, თენგიზ ივანელაშვილს და დავით ხატიაშვილს კი 5 000 ლარი.

რაც შეეხება დანარჩენ სამ დაკავებულს, საკრებულოს მთავარ სპეციალისტს თეიმურაზ ჯინჯიხაძეს და სამი შპს-ს დირექტორს – რევაზ ბაჩოშვილს, ზაზა მაისურაძეს და გიორგი ადუაშვილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მათ პატიმრობა შეუფარდა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)**

# ქართული ცეკვა — ფოლკლორის საგანძური

ეკა ირემაშვილი

**ქართული ქორეოგრაფიის გულშემატკივრები, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის წარმომადგენლები ცნობილი ქორეოგრაფის ბესიკ სვანიძის სახლთან შეიკრიბნენ, სადაც მათივე ინიციატივით ქორეოგრაფის მემორიალური დაფა გაიხსნა.**

– ბესიკ სვანიძე სულ ახლახანს მაისის თვეში გარდაიცვალა. ქართველ ქორეოგრაფთა რიგებს გამოაკლდა გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფი, მოცეკვავეთა მრავალი თაობის აღმზრდელი, პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ანსამბლ „გორდას“ დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი, მრავალი საერთაშორისო კონკურსის, ფესტივალის, სხვადასხვა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მის კალამს ეკუთვნის ჩინებული მონოგრაფია „ბუხუტი დარახველიძე“, რომლითაც ფართო საზოგადოება გაეცნო ცნობილი ქორეოგრაფის, ბესიკ სვანიძის პედაგოგის, ბუხუტი დარახველიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ბესიკ სვანიძის გარდაცვალება ნამდვილად დიდი დანაკლისია ქართული ხალხური ქორეოგრაფიისათვის, მთლიანად საქართველოსთვის, ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, მისი სახელის უკვდავსაყოფად მის სახლზე გაგვეხსნა მემორიალური დაფა, – განაცხადა ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა.

**ბესიკ სვანაძის შესახებ მოცეკვავე თენგიზ უთმელიძე „ახალ თაობას“ ესაუბრა:**

– ძალიან დიდი ისტორიაა ბესიკ სვანიძესთან დაკავშირებული, იმიტომ რომ მთელი ცხოვრება მიუძღვნა ქართულ ცეკვას და ქართულ ქორეოგრაფიას. მან ბავშვობიდან დაიწყო ქართული ცეკვის შესწავლა, ბიძამ აადგმევინა ფეხი ცეკვაში. დედის ძმა იყო აბო ქურხული, თბილისელი კაცი, კოლორიტი, სულ ამაყობდა, რომ ბიძამ ასწავლა ცეკვა. ბათუმელი იყო ბესიკი, მთელი ბავშვობა და სიჭაბუკე იქ გაატარა. ეზიარა ბევრ სიკეთეს როგორც მოცეკვავე, ენვერ ხაბაძესთან, ალექსანდრე ჯიჯეიშვილთან იყო, ეს ორი გვარი ძალიან ცნობილია ქორეოგარფიულ სივრცეში. იყო სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე ბათუმში, მერე ენვერ ხაბაძის ასისტენტი. როცა გადმოვიდა თბილისში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა, პროფესიით მეტყევე ინჟინერი იყო. იმ პერიოდში შეიქმნა ძალიან ცნობილი ცეკვის ანსამბლი „გორდა“, რომლის დამფუძნებელიც იყო თვითონ და 55 წლის განმავლობაში მისი უცვლელ ხელმძღვანელად მუშაობდა. ამ ანსამბლმა დიდი პოპულარობა მოიპოვა, მრავალი ქვეყანა მოიარა და მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული ანსამბლის წო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაო-გარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეოკონტროლით. ფასი 1 000 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

# ჟაკ როგი: „მოხიბლული ვარ საქართველოს ისტორიით, კულტურით, სპორტული მიღწევებით“



ლოზანაში (შვეიცარია) ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის (ანოკ) რიგგარეშე გენერალური ასამბლეა გაიმართა.

ცნობილია, რომ ახლახან შეიცვალა ანოკ-ის ხელმძღვანელობა. ამ ოლიმპიურ ინსტიტუტს მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა მარიო ვასკეს რანია. გასული წლიდან კი მას სათავეში ჩაუდგა შეიხ აჰმად ფაჰად ალ-საბახი (ქუვეითი). საგანგებო ასაბლეაზე მიიღეს ანოკ-ის ახალი წესდება, მოხდა ამ ორგანიზაციის შტაბბინის პრეზენტაცია – მეხიკოდან ის გადმოტანილი იქნა ლოზანაში.

გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 201 ქვეყნის ეოკ-ი. დელეგატებს შორის იყო 40-ზე მეტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, 25 საერთაშორისო სპორტული ფედერაციების პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელები.

მათ შორის იმ სამი ფედერაციის (ჭიდაობა, ბეისბოლი, სკვოში) წარმომადგენლობითი დელეგაციები, რომელთა სპორტის სახეობებს ოლიმპიურ პროგრამაში შეტანის საკითხი სექტემბერში ბუენოს-აირესის სოკ-ის სესიაზე გადაწყდება. ბუნებრივია, ისინი აქტიურად მუშაობენ სოკ-ის წევრებთან არგენტინის დედაქალაქში მათ სასარგებლოდ ხმის მიცემის მიზნით.

საქართველოდან ანოკ-ის გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა სეოკ-ის დელეგაცია ლერი ხაბელოვის, ემზარ ზენაიშვილისა და რუსუდან აფციაურის შემადგენლობით. ლოზანაში ყოფნის პერიოდში სეოკ-ის ხელმძღვანელობას ჰქონდა რამდენიმე საინტერესო შეხვედრა სოკ-ისა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების მესვეურებთან.

დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო, სოკ-ის პრეზიდენტს რეზიდენციაში შეხვედრა არცერთ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციასთან არ ჰქონია. გამონაკლისი მხოლოდ საქართველოს ეოკ-თან მიმართებაში გაკეთდა. ხანმოკლე შეხვედრის დროს დოქტორმა ჟაკ როგემ თქვა:

– მოგესალმებით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება შატო დე ვიდზე. სიამოვნებით ვიხსენებ საქართველოში ჩემს ოთხ ვიზიტს. მოხიბლული ვარ თქვენი ისტორიით, კულტურით, სპორტული მიღწევებით. საუცხოო სტუმართმოყვარეობა იცით და უგემრიელესი სამზარეულო გაქვთ. გთხოვთ ქართველ სპორტსმენებსა და ოლიმპიელებს გადასცეთ ჩემი კეთილი სურვილები. დღესაც დიდი გულისტკივილით ვიხსენებ ვანკუვერის ტრაგიკულ დღეებს. საქართველოს ეოკ-ის ბოლოდროინდელი აქტივობითა და ერთობლივი ძალისხმევით, ნოდარის სახსოვრად ბაკურიანში საციგაო ტრასის ასაგებად საქმეები ფინიშის სწორზე გადის. თქვენ გადმოგეცემათ მემორანდუმის პროექტი. როგორც კი ამ სამმხრივ დოკუმენტს ქართული მხარე ხელს მოაწერს, კონკრეტული სამუშაოებიც დაიწყება. ვწუხვარ, რომ ეს პროექტი ჩემი პრეზიდენტობის დროს ვერ დასრულდება, მაგრამ მთავარია – მის მშენებლობას ხელი უკვე აღარ შეეშლება.

საპასუხო სიტყვაში ლერი ხაბელოვმა მადლობა გადაუხადა ჟაკ როგს იმ მხარდაჭერისა და დახმარებისთვის, რომელსაც იგი ჯერ ევროპული კონტინენტური ასოციაციის, ხოლო შემდეგ კი სოკ-ის პრეზიდენტობის დროს უწევდა საქართველოს.

– ვაფასებთ თქვენს თანადგომას ჩვენი დელეგაციისთვის მძიმე დღეებში პეკინში. საქართველოს ახსოვს თქვენი ცრემლები ვანკუვერში. გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ თქვენ გადმოგეცემათ საქართველოს ეოკ-ის უმაღლესი ჯილდო – ღირსების ოლიმპიური ორდენი. და კიდევ ერთი. გთხოვთ გვესტუმროთ საქართველოში, კერძოდ ბაკურიანში – ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის საციგაო ტრასის გახსნაზე.

შეხვედრას ესწრებოდა სოკ-ის ადმინისტრაციის უფროსი ქრისტოფერ კეპერი, ოლიმპიური სოლიდარობის დირექტორი პერე მირო და მისი მოადგილე პამელა ვაიპონდი.

გენერალურმა ასამბლეამ მოისმინა შესაბამისი სტრუქტურების პირველ პირთა ინფორმაციები, იმის შესახებ თუ როგორ ემზადებიან ოლიმპიური თამაშებისთვის: სოჭი (ზამთრის ოლიმპიური თამაშები 2014), ნანჯინგი (ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები, 2014), რიო დე ჟანეირო (ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, 2016), პიონჩანგი (ზამთრის ოლიმპიური თამაშები, 2018) და ლილეჰამერი (ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები, 2016).

აგრეთვე, წარმოდგენილ იქნა 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების მასპინძლობაზე კანდიდატი ქალაქების – სტამბოლის, ტოკიოსა და მადრიდის საორგანიზაციო კომიტეტების პრეზენტაციები.

რიო 2016-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებთან შეთანხმდა სეოკ-ის დელეგაციის ბრაზილიაში სტუმრობის საკითხი. ეს გაცნობითი ხასიათის ვიზიტი მომავალ წელს გაიმართება.

ლერი ხაბელოვს საქმიანი შეხვედრები ჰქონდა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტთან პატრიკ ჰიკთან, ალმასკომის წევრებთან, ეოიფ-ის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარესთან გვიდო დე ბონდთან, თბილისი 2015-ის სადამკვირვებლო კომისიის თავმჯდომარესთან ჟოზეფ ლიბასთან.

გამოითქვა კმაყოფილება, რომ ოლიმპიური სოფლის მშენებლობა კარგი ტემპით მიმდინარეობს და თუ ის დროულად და პროექტის მიხედვით დასრულდება – მაშინ ფესტივალების ისტორიაში თბილისში საუკეთესო ოლიმპიური სოფელი იქნება.

ამასთან ერთად გამოითქვა რეკომენდაციები და სურვილები, როგორც ინფრასტრუქტურის საკითხებთან მიმართებაში, ისე, განსაკუთრებით, ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის, აპარატის პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების აუცილებლობაზე, 2013 წლის ივლისში ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში ახალგაზრდულ ფესტივალზე დამკვირვებელთა მეშვეობით გამოცდილების ეფექტურად გამოყენებაში, განსაკუთრებით სპორტის სახეობათა მიხედვით.

გამოითქვა რწმენა, რომ ეოკ-ის სადამკვირვებლო კომისიის ვიზიტის დროს თბილისში (სექტემბრის ბოლო – ოქტომბრის დასაწყისი) მიღწეულ იქნება მნიშვნელოვანი პროგრესი ფესტივალისთვის მზადების საქმეში და თბილისი-2015-ის საორგანიზაციო კომიტეტი ღირსეულად წარდგება ნოემბერში რომში გასამართ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე ფესტივალისათვის მზადების პრეზენტაცია-ანგარიშით.

შედგა სეოკ-ის ხელმძღვანელობის შეხვედრა ოლიმპიური სოლიდარობის დირექტორთან პერე მიროსთან და მის მოადგილესთან პამელა ვაიპონდთან. საუბარი იყო ოლიმპიური პროგრამების კიდევ უფრო ეფექტურად გამოყენების საკითხებზე.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ნენად ლალოვიჩის მიწვევით, სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი სტუმრად იყო ფილა-ს შტაბბინაში.

ლალოვიჩმა სეოკ-ის პრეზიდენტი საქმის კურსში ჩააყენა იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ფილა-ს ახალი ხელმძღვანელობამ გამართა და მართავს სოკ-ის წევრებთან რამდენიმე თქვეში ბუენოს-აირესში გასამართ სოკ-ის სესიის წინ, ჭიდაობის ოლიმპიურ პროგრამაში ყოფნა-არყოფნის მოულოდნელად წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით.

ფილა-ს პრეზიდენტმა, ისევე, როგორც სოკ-ის რამდენიმე წევრმა, რომლებთანაც იყო შეხვედრები ლოზანაში, დაარწმუნა სეოკ-ის ხელმძღვანელობა, რომ არგენტინის დედაქალაქში გასამართ სოკ-ის სესიას ოპტიმისტური განწყობით ხვდებიან.

– საქართველოს ეოკ-ი ერთ-ერთი პირველი დაგვიდგა გვერდში. მე კარგად ვიცი თუ რა ადგილი უკავია ჭიდაობას ქართულ სპორტულ სივრცეში. საყოველთაოდაა ცნობილი თქვენი მოჭიდავეების ფანტასტიკური მიღწევები. ყველაფერი კეთდება, რომ ბუენოს-აირესში სასურველი შედეგი მივიღოთ. წესებიც შეიცვალა, კორუფციასთან შეურიგებელ ბრძოლას ვიწყებთ. ალბათ გარკვეულ დათმობებზე წასვლაც მოგვიწევს. მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ, – განაცხადა ლალოვიჩმა.

# ბრაზილია რეკორდებით იგებს, იტალია — გაჭირვებით

**ბრაზილია – მექსიკა 2:0**

**ფორტალეზა. პლასიდო ადერალდო კასტელო**

**1:0 ნეიმარი (9), 2:0 ჟო (90)**

**ბრაზილია**: სეზარი, ალვეში, სილვა, ლუისი, მარსელო, პაულინიო, გუსტავო, ოსკარი (ერნანესი 62), ჰალკი (მოურა 78), ფრედი (ჟო 82), ნეიმარი

**მექსიკა**: კორონა, მიერი, მასა, მორენო, ტორეს ნილო (ბარერა 70), ფლორესი (ერერა 58), სალსიდო, ტორადო (ხიმენესი 88), გუარდადო, დოს სანტოსი, ერნანდესი

ბრაზილიის ნაკრები აშკარად კარგ ფორმაშია. გუნდში ყველა რგოლი დაბალანსებულია და არც ეროვნულობას, რომელიც ინდივიდუალურ ოსტატობაზეა აგებული, არ კარგავენ.

მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთი ეპიზოდი იყო, როდესაც მექსიკელები გამოცოცხლდნენ. სამხრეთამერიკელებმა გაუძლეს ამ კრიზისულ მონაკვეთს. საიმედო თამაშით ჩრდილოელებს შანსი არ მისცეს.

ბრაზილიის ნაკრებმა კონფედერაციის თასზე 9-მატჩიანი მოგებათა, ხოლო 10-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. „სელესაომ“ ამ ტურნირის ისტორიაში 30-ე შეხვედრა ჩაატარა და მე-20 მოიგო. ყველა ეს მაჩვენებელი კონფედერაციის თასის ისტორიაში რეკორდულია.

იაპონიასთან თამაშის მსგავსად, ანგარიში ნეიმარმა დასაწყისშივე გახსნა – დანი ალვეშმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა და ნეიმარმა ერთი შეხებით ძლიერად დაარტყა. ეს მისი მე-2 გოლია, მე-2 მატჩში.

მიმდინარეობდა მსაჯის მიერ კონპენსორებული დრო, როდესაც მარცხენა ფლანგიდან შეტევის დროს, საჯარიმოს ხაზთან, ნეიმარმა 2 მეტოქე ძალიან ეფექტური მოძრაობით მოატყუა და ცარიელი კარის წინ უმეთვალყურეოდ მყოფ ჟოს გაატანინა.

აღსანიშნავია, რომ ჟო ორივე თამაშში შეცვლაზე შევიდა, პირველად 81-ე, ხოლო მეორედ – 82-ე წუთზე. ამ დროში 26 წლის ფეხბურთელმა 2 გოლი გაიტანა და ორივე 93-ე წუთზე. ჟო გახდა პირველი ფეხბურთელი კონფედერაციის თასის ისტორიაში, რომელმაც დამატებულ წუთებზე 2 გოლი გაიტანა. შეცვლაზე შესვლის შემდეგ გოლების გატანაში ასევე ბრაზილიელი ალექსი ლიდერობს, რომელმაც 1999-2003 წლებში, ეს 3-ჯერ მოახერხა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ნეიმარი

ამ ფეხბურთელის საუკეთესოდ დასახელება მეორედ გვიხდება. მართალია, ბრაზილიელთა თავკაცი, ლუიშ ფელიპე სკოლარი ნეიმარს ხშირად აკრიტიკებს, რომ ზედმეტად ერთობა ინდივიდუალური თამაშით, მაგრამ რა გინდა თქვა, როდესაც სწორედ ამის წყალობით ჟოს ლანგრით მიართვა გოლი. არც თავად ფეხბურთელის გატანილი გოლი იყო ცუდად შესრულებული.

**იტალია – იაპონია 4:3**

**რესიფე. არენა პერნამბუკო**

**0:1 ჰონდა (21პ), 0:2 კაგავა (33), 1:2 დე როსი (41), 2:2 უჩიდა (50ს.კ.), 3:2 ბალოტელი (52პ), 3:3 ოკაზაკი (69), 4:3 ჯიოვინკო (86)**

**იტალია**: ბუფონი, მაჯიო (აბატე, 59), კიელინი, დე შილიო, აკვილანი (ჯიოვინკო, 30), ბალოტელი, ბარძალი, დე როსი, მონტოლივო, პირლო, ჯაკერინი (მარკიზიო, 68)

**იაპონია**: კავაშიმა, ჰონდა, ნაგატომო, უჩიდა (საკაი, 73), ენდო, ოკაზაკი, კაგავა, კონო, ჰასებე (ნაკამურა, 90), მაედა (ჰავენაარი, 70), იოშიდა

ვისაც ეს მატჩი პირდაპირ ეთერში არ უნახავს, ძალიან ბევრი დაკარგა. ასეთი სანახაობრივი ფეხბურთი სანაკრებო დონეზე დიდი ხანია არ გვინახავს. იტალიელებმაც და იაპონელებმა გასაოცარი ფეხბურთი ითამაშეს.

ყველაფერს თავი დავანებოთ, მატჩი მძაფრსიუჟეტიან ტრილერს ჰგავდა. მოვლენები ისე განვითარდა, იმდენჯერ შეიცვალა, რომ კაცს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცალა.

დასაწყისი იაპონელების იყო. 33-ე წუთისთვის ჰონდას პენალტით და კაგავას ლამაზი დარტყმის წყალობით 2:0 დაწინაურდნენ.



„სკუადრა აძურა“ დანებებას არ აპირებდა და პირველი ტაიმის მიწურულს დე როსიმ თავური დარტყმით სხვაობა შემცირა. მეორე ტიმის დასაწყისშივე კი შეაგდო, მეორეს დასაწყისში კი ჯერ უჩიდას ავტოგოლით, შემდეგ კი ბალოტელის მიერ შესრულებული პენალტით იტალიელები წინ გავიდნენ.

ამჯერად უკვე იაპონელები არ დანებდნენ და 69-ე წუთზე ოკაზაკის თავურით წონასწორობა აღადგინეს. მეტიც, დარჩენილ დროში იტალიელებს ნამდვილი შტურმი მოუწყვეს, სამჯერ ბურთი ბუფონის კარის ძელს მოხვდა, მაგრამ კარში არა და არ გადიოდა.

სამაგიეროდ, ჩეზარე პრანდელის შეგირდებმა ლამის ერთადერთი შანსი გამოიყენეს. ჩინებული კომბინაციის შემდეგ, ცარიელ კართან შეცვლაზე შესული ჯიოვინკო დარჩა და საბოლოო ანგარიში – 4:3 დააფიქსირა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: შინჯი კაგავა

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი წაგებული გუნდიდან შევარჩიეთ. გამარჯვებულ გუნდში კარგები იყვნენ პირლო, ბალოტელი, ჯოვინკო... არც სხვებს დაუზოგავთ თავი. იაპონელები ჰონდა, ოკაძაკი ასევე გამორჩეულები იყვნენ, მაგრამ საუკეთესოდ მაინც კაგავა ჩანდა. მთელი მატჩის განმავლობაში ჰიპერაქტიური იყო, ბუფონის კარს ხშირი დარტყმებით ბომბავდა და ცოტა რომ გამართლებოდა, ერთ გოლს არ დასჯერდებოდა.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| 2.იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:4 | 6 |
| 3.მექსიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| 4.იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |

# ვიქტორ სანიკიძე იტალიის ჩემპიონია

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა იტალიაში გატარებული მესამე წელი ოქროს მოგებით აღნიშნა. „ვირტუს ბოლონიაში“ ნათამაშევი 2 სეზონის შემდეგ სანიკიძე იტალიის უძლიერესმა გუნდმა „სიენამ“ შეიმატა და სკუდეტო ქართველ ფორვარდთან ერთადაც მოიგო.

სიენელებმა სეზონი მძიმედ დაიწყეს, თუმცა თებერვალში იტალიის თასის მოგება მაინც მოახერხეს. რეგულარული სეზონის მე-5 ადგილზე დასრულების შემდეგ სანიკიძის გუნდს ყველა მეტოქესთან დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა, რომ ტიტულამდე მისულიყო. პლეი ოფში ყველაზე იოლი სერია ფინალური გამოდგა, რომელიც „სიენამ“ „რომას“ 4:1 მოუგო. მანამდე კი ორივე საპლეიოფო სერია – „არმანისთან“ მეოთხედფინალი და „ვარეზესთან“ ნახევარფინალი 7-მატჩიან დაპირისპირებაში მოიგო.

სანიკიძის გუნდმა საჩემპიონო ტიტული ფაქტობრივად 2 დღის წინ გაინაღდა, როცა „რომა“ შინ დაამარცხა და სერიაში 3:1 დაწინაურდა. სამ მატჩს რომ ზედიზედ არ წააგებდნენ სიენელები, დიდი მარჩიელობა არ სჭირდებოდა და აკი პირველივე ცდაზე მოიგეს ბოლო წლებში მათთან ბინადადებული საჩემპიონო თასი.

საჩემპიონო მატჩი „სიენამ“ რომში – 79:63 მოიგო. სანიკიძემ მხოლოდ 4 წუთს ითამაშა და 2 ქულას ამდენივე მოხსნა მოაყოლა. ქართველმა ფორვარდმა ერთხელ და ისიც ზუსტად შეუტია რომაელთა კალათს. სიენელთაგან 18 ქულით საუკეთესო ბობი ბრაუნი გახლდათ, 11 დევიდ მოსის ანგარიშზეა, ხოლო მეთ ჯენინგმა ჩემპიონებს 10 ქულა შესძინა. სანიკიძისთვის ეს სადებიუტო ტიტულია. მას აქამდე საქართველოში, რუსეთში, საფრანგეთში, ესტონეთში და ესპანეთში უთამაშია, მაგრამ ჩემპიონობა არასდროს მოუგია.

# გარდაიცვალა ფიბა-ევროპის პრეზიდენტი ოლაფურ რაფნსონი

ფიბა-ევროპის პრეზიდენტი, ისლანდიელი ოლაფურ რაფნსონი გარდაიცვალა. შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში ვიზიტად მყოფი ევროკალათბურთის მმართველი 50 წლის ასაკში მოულოდნელად აღესრულა.

რაფნსონი ჟენევაში ფიბა-ევროპის ახალი შტაბ-ბინის გახსნაზე იმყოფებოდა. საზეიმო განწყობა მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა გლოვით შეცვალა. წინასწარი ინფორმაციით, ფიბა-ევროპის პრეზიდენტს გულმა უმტყუნა.

ოლაფურ რაფნსონი ისლანდიელი და ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი იყო. 2010 წლიდან ის ფიბა-ევროპის მმართველად აირჩიეს და მას შემდეგ რაფნსონმა ევროკალათბურთში მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატარა და კიდევ არაერთი სიახლის განხორციელებას აპირებდა.

# რუსთავმა სეზონი დუბლით დახურა

საქართველოს ქალთა ლიგის თასის მფლობელი რუსთავის „ვეჯინი“ გახდა. საქართველოს ჩემპიონობის შემდეგ ქვემოქართლურმა გუნდმა ქვეყნის თასიც მოიგო.

ჩემპიონატის ფინალის მსგავსად, რუსთაველებს ამჯერადაც „ქუთაისი“ შეხვდა. თასისთვის ბრძოლა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. რუსთაველებმა დაძაბულ ბრძოლაში – 79:68 დაამარცხეს ქუთაისელები და სეზონში დუბლი შეასრულეს.

პირველი მეოთხედის 11:20 წაგების შემდეგ ქუთაისელებმა თამაში გამოასწორეს. მეორე პერიოდში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, ხოლო მესამე ათწუთეულში ქუთაისელებმა ლიდერობა მოიპოვეს. ნინო გაბიძაშვილის, ნელი ჟორჟოლიანის და თაკო მანაგაძის აქტიურობამ ის შედეგი გამოიღო, რომ იმერული კლუბი 51:49 დაწინაურდა.

ამ დროს ქუთაისელთა ლიდერთაგანი ნელი ჟორჟოლიანი მოედნიდან 5 პერსონალურის გამო გავარდა, რითაც მანამდე ისედაც აქტიურმა რუსთაველთა ცენტრმა ხათუნა საჯაიამ (32 ქულა, 24 მოხსნა) გაილაღა. საჯაიას მხარი ანი მაისურაძემ (22 ქულა, 13 მოხსნა) და ნათია ფუტკარაძემაც (19 ქულა, 9 მოხსნა) აუბეს და „ვეჯინის“ უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია.

რუსთაველებმა მოპოვებული უპირატესობა იოლად შეინარჩუნეს და საბოლოოდ 11 ქულით გაიმარჯვეს. მატჩის შემდეგ გამართულ დაჯილდოვების ცერემონიალზე რუსთაველებს თასი კალათბურთის მსაჯთა კავშირის პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა გადასცა. გამოვლინდა სეზონის საუკეთესო მოთამაშეც, რომელიც რუსთაველთა კაპიტანი ხათუნა საჯაია გახდა. საჯაიას საგანგებო პრიზი მსაჯთა კავშირის წევრმა ნოდარ ავალიშვილმა გადასცა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**კონფედერაციის თასი**

ბრაზილია-მექსიკა ........................ 2:0
იტალია-იაპონია ........................... 4:3

**მჩ-2014. შესარჩევი ეტაპი**

**კონკაკაფი**

აშშ-ჰონდურასი ............................ 1:0
კოსტა რიკა-პანამა ....................... 2:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

**პლეი ოფი**

ხირონა-ალმერია .......................... 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ბრომაპოიკარნა-ჰალმშტადი ........ 1:1
ჰეკენი-ატვიდაბერგი ..................... 0:2
ელფსბორგი-გეფლე ...................... 0:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვპს-ჰონკა .................................... 1:1
მარიეჰამნი-კუუპიო ...................... 4:2
ლახტი-ჯჯკ .................................. 2:1
მიუპა-ჰიკი ................................... 2:4
ტპს-როვანიემი ............................ 2:1
იარო-ინტერი ............................... 0:0

**აშშ. მლს**

მონრეალი-ჰიუსტონი .................... 2:0
ჩიკაგო-კოლორადო ...................... 2:1
ვანკუვერი-ჩივასი ......................... 3:1
ლოს ანჯელესი-პორტლენდი ....... 0:0

**ჰოკეი**

**ნჰლ. ფინალი**

ბოსტონი-ჩიკაგო ...................... 5:6(ოტ)
სერიის ანგარიში: ........................ 2:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# გოგი დოლიძე: „ეს იყო სასწაული“!

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრში ვოლგოგრადის დასის სტუმრობამ მთელი თბილისი აალაპარაკა. დასის ხელმძღვანელი ოთარ ჯანგიშერაშვილი ქართულ თეატრალურ სამყაროში კარგად არის ცნობილი, თუმცა მის მიერ თბილისში ჩამოტანილმა სპექტაკლებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ორი დღის განმავლობაში რუსთაველის თეატრის სცენა დაეთმო მის მიერ დადგმულ სპექტაკლებს – რუსი კლასიკოსის ალექსეი ტოლსტოის ისტორიულ დრამას, „მეფის მკვლელნი“ და კენ ლუდვიგის ლეგენდარულ ამერიკულ კომედიას, „პრიმადონები“.

პროფესორი გოგი დოლიძე მიიჩნევს, რომ მსგავსი სტუმრობა საქართველოში ხშირად უნდა იმართებოდეს და საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ხელოვანები სამშობლოში უნდა ჩამოდიოდნენ.

**გოგი დოლიძე:**

– ვოლგოგრადელთა გასტროლები ტრიუმფით დაიწყო და ტრიუმფით დასრულდა. ეს იყო მართლაც სასწაული. რუსთაველის თეატრს ვერავინ გააკვირვებს წარმატებით, მაგრამ ჩამოსულ დასს რომ ასე დაეყპროს თბილისელთა გულები, ეს ნამდვილად იშვიათი მოვლენაა. ეს ყველა იმ ადამიანის აზრია, ვინც ამ გასტროლს ესწრებოდა. რუსთაველის თეატრში ტევა არ იყო. მთელი ინტელიგენცია იქ იყო და ყველა ერთ აზრზე იყო.

***– თქვენ რა გაკავშირებთ ვოლგოგრადის თეატრთან?***

– თეატრის ხელმძღვნელი ოთარ ჯანგიშერაშვილი ჩემი უახლოესი მეგობარია. ეს თეატრი აქამდე ჩვენთვის მხოლოდ შორიდან იყო ნაცნობი, მხოლოდ პრესით და მხოლოდ გადმოცემით, ახლა ყველაფერი ნათელი გახდა.



ნამდვილად უნიჭიერესია ბატონი ოთარი. ის არის დახუნძლული ყოველგვარი წოდებით, ის არის რუსეთის სახალხო არტისტი, სტანისლავსკის პრემიის ლაურეატი, რუსეთის და საქართველოს ღირსების ორდენების კავალერი, ახლახანს აირჩიეს თეატრის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად, მაგრამ ჩვენ არ გვენახა მისი თეატრის დასი და სპექტაკლები. 45 წელია მასთან ვმეგობრობ და წელიწადში ერთხელ მასზე იბეჭდებოდა სტატია, რადგან ივლისის თვეში ის ყოველთვის ჩამოდის საართველოში და სტუმრობს თავის მშობლიურ გორს, შარშან და შარშანწინ თქვენთანაც დაიბეჭდა მშვენიერი ინტერვიუ, მაგრამ ხომ იცით, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო და მართლაც ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უდიდესი მადლობა ჩვენს საამაყო თანამედროვე მაესტრო რობერტ სტურუას, რომელმაც ინება, მოივწია ეს თეატრი და უმასპინძლა.

# ქართული ცეკვა – ფოლკლორის საგანძური

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დება სტუდენტურ ანსამბლს. ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა. იყო ძალიან აქტიური იმ ყველა ძალიან გახმაურებულ და ცნობილ წამოწყებებში, რასაც ჰქვია ქართული ქორეოგრაფიის საწყისები, თბილისშიც ძალიან პოპულარული გახდა, არაერთი ტიტული მოიპოვა და იშვიათია ქორეოგრაფი, ვისაც ამდენი ტიტული ექნება. მსოფლიოს მრავალი ფესტივალის ლაურეტი და საქართველოს სახალხო არტისტი იყო. ქორეოგარფიულ წრეში დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა, განსაკუთრებით აფასებდნენ ისეთი დიდი კორიფეები, როგორებიც იყვნენ ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი. მისი შემოქმედებიდან აღსანიშანვია, რომ ის ცეკვავდა ცნობილი ქორეოგრაფის ბუხუტი დარახველიძის ანსამბლში და როგორც თავის მასწავლებელს და შემდგომში უკვე კოლეგას უძღვნა მადლიერებით მონოგრაფია. მას ძალიან ბევრი ისტორია ჰქონდა ქორეოგარფიაში და განსაკუთრებით ბუხუტი დარახველიძესთან დაკავშირებული, ამიტომ მიუძღვნა არაჩვეულებრივი წიგნი „ქართული ცეკვისა და ქცევის რაინდი – ბუხუტი დარახველიძე“ და მართლაც ასეთი კაცი იყო ბუხუტი დარახველიძე. დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა საღამო, მაშინ ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე ვიყავი და უშუალოდ ვიღებდი მონაწილობას ამ საღამოში. მის ორგანიზებაში მერიაც აქტიურად დაგვიდგა გვერდში. ამ კონცერტის ერთ-ერთი ინიციატორი ბესიკ სვანიძე იყო და მაშინ შედგა ამ წიგნის პრეზენტაცია. ბესიკ სვანიძეს ღირებული ისტორიული ცხოვრება ჰქონდა და მას სურდა გამოემზეურებინა, თუმცა სამწუხაროდ, ვერ მოასწრო, მაგრამ რაც გააკეთა, ისიც ძალიან ღირებულია. იქ არის აღწერილი არა მარტო ბუხუტი დარახველიძის, არამედ იმ პლეადის ისტორია, რომელიც ბატონმა ბუხუტიმ აღზარდა და მათ შორის იყო თავად ბესიკ სვანიძე. ეს იყო 50-იანი წელბი და ბევრი აკადემიურ ანსამბლში მოღვაწეობდა, ზოგიერთი კი შემდეგ ცნობილი ქორეოგრაფი გახდა. იგი როგორც პეადგოგი, მოღვაწეობდა კულტურის ინსტიტუტში, რომელიც 1992 წელს შეიქმნა, საბედნიეროდ, მეც ვიყავი ერთ-ერთი ინიციატორი, რომელსაც დაერქვა საქართველოს კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი. დამფუძნებელიც იყო, მერე პროფესორიც გახდა, ასწავლიდა, შემდეგ ეს შეუერთდა კინოსა და თეატრის ინსტიტუტს და იქაც მოღვაწეობდა. ბესიკ სვანიძეს ნამდვილად დიდი ღვაწლი აქვს ქართულ ქორეოგრაფიაში, ეს ყველაფერი კი თვალსაჩინოა.

– ქართული ცეკვა არის ფოლკლორის ერთ-ერთი საგანძური, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო. საბედნიეროდ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში იგი პირვანდელი ანუ ავთენტური სახითაც გხვდება, რაც იმის ნიშანია, რომ მომავალშიც უნდა გავუფრთხილდეთ და ერთად ვიზრუნოთ მის მოვლა-დაცვასა და შენარჩუნებაზე. გარდა ამისა, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ხალხური შემოქმედების ბალში ხარისხის ნიშნის დამფუძნებელმა ევროპის ხარისხის ორგანიზაციის წარმომადგენლობამ საქართველოში „ხარისხის ნიშნით“ დააჯილდოვა, – განაცხადა გიორში უშიკიშვილმა.

# ზაზა შენგელია ახალ პროექტს იწყებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჯგუფის წევრები სიმღერების მუსიკისა და ტექსტის ავტორები თავად არიან. ალბომზე მუშაობის პერიოდში, ისინი მუდმივად ხვდებოდნენ ავღანეთის ომის ვეტერანებს და მათთან საუბრის და კონსულტაციების შედეგად თავიანთი პირველი ალბომისთვის რეპერტუარს ქმნიდნენ.

ახლო მომავალში იგეგმება ჯგუფის გასვლითი კონცერტი ავღანეთში, სადაც ისინი საკონცერტო პრეზენტაციის სახით, აისაფის მისიაში მონაწილე საქართველოს და სხვა ქვეყნის ჯარისკაცების წინაშე აღნიშნულ ალბომს წარადგენენ.

– ამ ერთობლივი პროექტით „ბრავო რექორდსი“ და ჯგუფი „ელდრაინი“ გამოხატავს უდიდეს თანადგომას და პატივისცემას ყველა იმ ახალგაზრდა სამხედროს მიმართ, რომლებიც უსაფრთხოების მისიის განსახორციელებლად ავღანეთში თავიანთ სამხედრო ვალს იხდიან, – განმარტავს ზაზა შენგელია.

„ბრავო რექორდსი“ და ჯგუფი „ელდრაინი“ მადლობას უხდის პროექტის მხარდამჭერებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ასევე გენერალურ სპონსორს კომპანია „გალფს“ და სპონსორს „ელიტ ელექტრონიქსს“.

ჯგუფი „ელდრაინი“ 2010 წლის დასაწყისში შეიქმნა. პირველი გამოსვლა, სადაც ჯგუფმა საყოველთაო წარმატება მოიპოვა, 2010 წელს ფესტივალზე „ალტერვიჟენ ნიუქამერს“ შედგა.

2011 წელს ჯგუფმა სოლისტი თაკო ვადაჭკორია მომღერალ სოფო ტოროშელიძით ჩაანაცვლა. ეს მაშინ მოხდა, როცა ევროვიზიის შიდაშესარჩევ კონკურსზე ჯგუფმა თაკო ვადაჭკორიას მონაწილეობით გაიმარჯვა, თუმცა იმ წელს ჯგუფი „ევროვიზიაზე“ უკვე სოფო ტოროშელიძესთან ერთად გაემგზავრა. გერმანიაში გამართულ „ევროვიზია-2011“-ზე საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფმა 43 ქვეყნის კონკურსანტებს შორის მე-9 ადგილი დაიკავა.

ევროვიზიის დასრულებიდან რამდენიმე თვეში, ბათუმში გაიმართა ენრიკე იგლესიასის გრანდიოზული კონცერტი „ემტივი ლაივ ჯორჯია“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჯგუფმა „ელდარინმა“.

ჯგუფი ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მოექცა, როცა მათ სადავო სახელწოდება „ელდრაინი“ გაუხდათ. იყო მცდელობა შექმნილიყო ამავე სახელწოდების ჯგუფი და მისი სოლისტი მარი ტომარაძე გამხდარიყო. „საქპატენტში“ წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კი გაირკვა, რომ სახელწოდება „ელდრაინი“ მუსიკოსების სწორედ იმ შემადგენლობის კუთვნილება წარმოადგენდა, რომელიც „ევროვიზიაზე“ მონაწილეობდა.

კომპანია „ბრავო რექორდსი“ ქართველი მუსიკოსების მხარდამჭერ პროექტს მარტის თვიდან ახორციელებს. საქართველოს მუსიკალურ ინდუსტრიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე მუსიკალურმა ბიზნეს კომპანიამ „ბრავო რექორდსი“ დაამკვიდრა ახალი სტანდარტები და დაიწყო უპრეცედენტო აქცია მდგომარეობის უკეთესობისაკენ შესაცვლელად. „ბრავო რექორდსის“ მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს და წაახალისოს მუსიკოს-შემსრულებლები, ავტორები და მისცეს მათ საშუალება სერიოზული ფასდაკლებების პირობებში მოახდინონ საკუთარი მუსიკალური პროექტების რეალიზება. აქედან გამომდინარე, 2013 წლის მარტის თვიდან „ბრავო რექორდსი“ სთავაზობს მუსიკოსებს სტუდიური მომსახურების ღირებულებების უპრეცედენტო შეღავათებს: ყველა სახის სტუდიური მომსახურების ღირებულება მცირდება 30%-ით, სიდი ალბომის ჩაწერის შემთხვევაში (12-15 სიმღერა) მთლიანი ღირებულება დამატებით შემცირდება კიდევ 20%-ით, მუსიკოს-შემსრულებლებს და ავტორებს ეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლონ თიბისი ბანკის 1-წლიანი განვადებით სტუდიური ჩაწერების და ზოგადად მუსიკალური პროექტების განსახორციელებლად. სტუდიური მომსახურების არსებული და ახალი ღირებულებების შედარების ცხრილი ასე გამოიყურება: 2011-დან 2013 თებერვლამდე სტუდიური ჩაწერა ღირდა 1 საათი 100 ლარი, 2013 წლის მარტიდან ეს თანხა 70 ლარი გახდა; მიქსინგი 1საათი ღირდა 100 ლარი, ახლა ღირს 70 ლარი, მასტერინგი ღირდა 400 ლარი – ახლა ღირს 200 ლარი და არანჟირება ღირდა 1200 ლარი – ახლა ღირს 960 ლარი. როგორც „ბრავო რექორდსში“ განმარტავენ, ფასები მოცემულია ლარში დღგ-ს ჩათვლით.

– მუსიკალური ბიზნესკომპანია „ბრავო რექორდსი“ და მისი ხმის ჩამწერი სტუდია ტექნიკური მაჩვენებლებით, აღჭურვილობითა და სტუდიაში მომუშავე პერსონალით საუკეთესოა როგორც საქართველოში, ასევე მთელს ამიერკავკასიაში. სტუდიის პროფესიონალთა გუნდი საშუალებას აძლევს ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებს და ავტორებს დასავლეთის ქვეყნების წამყვანი ხმის ჩამწერი სტუდიების სტანდარტების შესაბამისად იმუშავონ შეღავათიანი პირობებით, რაც გულისხმობს კომფორტულ სამუშაო გარემოს, იდეალურ აკუსტიკურ პირობებს, ჩაწერის პროცესისა და საბოლოო პროდუქტის უმაღლეს ხარისხს და დაუჯერებლად დაბალ ფასებს. „ბრავო რექორდსის“ მენეჯმენტი, გამოხატავს რა კეთილ ნებას, ახალი და შეღავათიანი საფასო პოლიტიკის შემოღებით ხელს შეუწყობს ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებს და ავტორებს, წაახალისებს მათ პროფესიულ საქმიანობას და მუსიკალური კარიერის განვითარებას. ამასთანავე იმედს ვიტოვებთ, რომ „ბრავო რექორდსის“ მიერ გადადგმული ნაბიჯი იქნება ერთგვარი მაგალითი და სტიმული ქართულ ბიზნესში მომუშავე კომპანიებისათვის, რათა მათ უფრო მეტად გაუწიონ მხარდაჭერა და სპონსორობა ქართველ მუსიკოსებს საკუთარი პროექტების განხორციელებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს როგორც უკვე შემდგარი და პოპულარული მუსიკოსის, ასევე უამრავი დამწყები ნიჭიერი ახალგაზრდა შემსრულებლის თვითრეალიზებას და ზოგადად საქართველოში მუსიკალური ბიზნესის განვითარებას, – აღნიშნავს „ბრავო რექორდსის“ ხელმძღვანელი.

„ბრავო რექორდსში“ ჩაწერა თავისი ახალი სიმღერა ლიზა ბაგრატიონმა, რომელიც ნიკოლოზ რაჭველის მიერ ახალი და ორიგინალური არანჟირებით გია ყანჩელის საყოველთაოდ აღიარებული მუსიკალური ნაწარმოებია. აღნიშნული ნაწარმოები გია ყანჩელმა სპეციალურად რობერტ სტურუას სპექტაკლისათვის „ხანუმა“ დაწერა, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. სიმღერას ლიზა ბაგრატიონი ასრულებს ცოცხალი ბენდის თანხლებით. ტექსტი ეკუთვნის პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის. მუსიკალური ნაწარმოები ლიზას შესრულებით პირველად 2013 წლის 2 მარტს სოფიკო ჭიაურელის 75 წლის საქველმოქმედო საღამოზე გაჟღერდა.

სიმღერა ჩაწერა „ბრავო რექორდსში“ ზურაბ ჟვანიას ქვრივმა ნინო ქადაგიძე-ჟვანიამაც. ეს სიმღერა 2004 წელს ნიკოლოზ რაჭველმა სპეციალურად ნინოსთვის დაწერა და უსახსოვრა. სიმღერა შედის იმ ერთეულ სიმღერათა შორის, რომლებიც ნიკას მთელი თავისი მუსიკალური კარიერის განმავლობაში აქვს დაწერილი. ტექსტი ოთარ ჭილაძის ლექსზე „ვწევარ და ვუსმენ“ არის აგებული, რომელიც ნინოს რეკომენდაციით, ნიკამ მოარგო ნაწარმოებს. სიმღერას ინსტრუმენტალურ აკომპანირებას ნიკოლოზ რაჭველი უწევს.

**ეკა ირემაშვილი**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. გრეიფუტის ქართული სახელწოდება; 2. მდინარე დნეპრის ძველბერძნული სახელწოდება; 3. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 4. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 5. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 9. სამელექტროდიანი ელექტრო-ვაკუუმური ნათურა; 11. ცნობილი ფრანგი მეტალურგი; 12. პატარა დასახლებული პუნქტი; 14. მსხვილად დაფქული სიმინდის მარცვლეული; 18. იაპონური აბანო; 19. მწირი, მოუსავლიანი ნიადაგი.

**თარაზულად**: 4. რძის პროდუქტი; 5. მცენარეულის მჭამელი ცხოველი; 6. ლუდის სასმელი კათხა; 7. ხმადაბალი სიცილი; 8. ზღვის ყაჩაღი; 10. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 13. ღვარძლიანი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 15. აჭარული საქორწილო-სანახაობითი წარმოდგენა ძველად; 16. საქონლის სუფთა წონა შეუფუთავად; 17. საქართველოში გავრცელებული ვაზის ფრანგული ჯიში; 20. საქვეყნო საქმისთვის გაწეული შრომა, ამაგი; 21. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 22. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საფრანგეთში; 23. ოპერა „სევილიელი დალაქის“ მუსიკის ავტორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჩამპინო; 2. ათოსი; 3. მალთაყვა; 4. ხირხატი; 5. შერმადინი; 9. ამქარი; 12. ლეპტოპი; 14. ორშიმო; 15. ღელე; 17. სტუკო; 18. ყრმა.

**თარაზულად:** 6. დავითი; 7. გაბრიაძე; 8. აპნისი; 10. ლანჩა; 11. ნოქალაქევი; 13. მოლაღური; 16. მეტისი; 19. რიტორიკა; 20. კომერცია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოფეინი; 2. ბეშიქთაში; 3. სპანიელი; 4. შეპარდი; 5. მოპედი; 9. მაჩეტე; 11. ბიონიკა; 12. ღამურა; 14. ბასკეთი; 18. ეკერი; 19. ჰერცი.

**თარაზულად:** 4. შამონი; 5. მეცენატი; 6. აპოლო; 7. სპაგეტი; 8. აიაზმა; 10. უნაბი; 13. ნაბადი; 15. თარჩია; 16. ლენი; 17. რიყე; 20. კათეტი; 21. მადონა; 22. ბურნუთი; 23. ცეზურა.

# ანუკი არეშიძე ქველმოქმედებაში ჩაერთო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შორისაა თექის ხელოვნება, კონსტრუირება და თიხის ხელოვნება.

ცნობილია, რომ ანუკი არეშიძე მოდელი იყო, თუმცა კახი კალაძეზე დაქორწინების შემდეგ პოდიუმს ჩამოშორდა და დიზაინერობა დაიწყო. ანუკი ბიჭოლას შეუამხანაგდა და ერთობლივი ბრენდის „ანუკი და ბიჭოლა“ წარმოება დაიწყეს. მათი კოლექციები საკმაოდ ხშირად იყო წარმოდგენილი უკრაინის მოდის კვირეულზე, თუმცა ორიოდე დღის წინ ანუკიმ სოციალური ქსელით „ფეისბუქი“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბიჭოლასთან აღარ თანამშრომლობს, მათი სამწლიანი ტანდემი დასრულებულია და ამიერიდან ორივე დიზაინერი დამოუკიდებლად შექმნის კოლექციებს,

– ძვირფასო მეგობრებო ძალიან ბევრი მწერს და მეკითხება რა ხდება ბრენდ „ანუკი და ბიჭოლას“ გარშემო. ცხოვრების ყველა ეტაპს ახლავს სიახლე, ამ სიახლეს სირთულეები. ჩვენ 3 წელია ერთად ვართ და ამ ბრენდმა ძალიან ბევრს მიაღწია, თუმცა სამწუხაროდ, დადგა მომენტი, რომ აზრთა სხვადასხვაობის გამო ჩვენ გადავწყვიტეთ ცალ-ცალკე გავაგრძელოთ მოღვაწეობა. ვიმედოვნებ, სწორედ გაიგებთ და ამ ამბისგან საკუთარი პიარით არ დაკავდებით. ცოტა რთული კარიერული პერიოდი გვაქვს, თუმცა ჩვენ კარგი მეგობრები ვართ და ყოველთვის მზად ვიქნებით ერთმანეთის დახმარებითვის. მაღაზია კიევში აგრძელებს მუშაობს და იქ წარმოდგენილი იქნება ქართველი დიზაინერების და უკვე ანუკის და ბიჭოლას სამოსი. მე ამ სფეროში ვრჩები და მხოლოდ ჩემი სახელით ვაგრძელებ მოღვაწეობას. ბიჭოლას კი უდიდეს წარმატებას ვუსურვებ ცხოვრების ახალ და ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე, – წერს ანუკი არეშიძე „ფეისბუქში“.

**ეკა ირემაშვილი**

# „სირიის მეგობრები“ ამბოხებულებისთვის დახმარების აღმოჩენაზე იმსჯელებენ



11 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებიც საკუთარ თავს „სირიის მეგობრებად“ მოიხსენიებენ, ყატარის დედაქალაქ დოჰაში შეკრებას გეგმავენ. დიპლომატები სირიის ოპოზიციური ძალებისთვის დახმარების, მათ შორის სამხედრო მხარდაჭერის აღმოჩენის ვარიანტების განსახილველად იკრიბებიან. ამის შესახებ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს.

შაბათს დაგეგმილ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იორდანიის, ეგვიპტის, ყატარის, არაბეთის გაერთიანებული საემიროების, თურქეთისა და საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრები.

შეგახსენებთ, რომ სამოქალაქო დაპირისპირება და კონფლიქტი სირიის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უკვე ორი წელია გრძელდება. ამ დროის განმავლობაში, გაეროს ოფიციალური მონაცემებით, 90 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ხოლო 2 მილიონამდე ლტოლვილად იქცა.

ამ ფონზე, იუნესკომ სირიაში მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები იმ ობიექტების სიაში შეიტანა, რომელთაც გაქრობა ემუქრებათ.

ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში საუბარია, რომ ქვეყნის შიგნით არსებული კონფლიქტის გამო ვერ ხდება ისტორიული ობიექტების დაცვა. ამასთან, ორგანიზაციის განცხადებით, დაზიანებული ძეგლების შესახებ შესაფერისს ინფორმაციას ვერ იღებენ.

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში, სირიიდან ექვსი ობიექტია შესული.

# ანკარაში აქციის მონაწილეები წყლის ჭავლითა და ცრემლსადენი გაზით დაშალეს



წუხელ თურქეთის დედაქალაქში პოლიციამ აქციის მონაწილეთა დასაშლელად გაზი და წყლის ჭავლი კვლავ გამოიყენა. დაპირისპირების ცენტრი კენედის სახელობის გამზირი გახდა, რომელიც აშშ-ს საელჩომდე მიდის.

გავრცელებული ინფორმაციით, აქციის მონაწილეები ჯერ წყლის ჭავლით „დაამუშავეს“ შემდეგ კი ცხემლსადენი გაზის ნაღმები გაუშვეს. პოლიციის ამ დაკაყოფის შემდედ მომავალი დანაყოფი კი აქციის მონაწილეებისაგან ახლობდემარე ქუჩებს წმენდდა.

შედეგად, რამდენიმე საათის განმავლობაში საპროტესტო აქციები შეწყდა.

თურქეთში საპროტესტო გამოსვლები ორ კვირაზე მეტია გრძელდება. „სიენენ თურქის“ ინფორმაციით, პოლიციას დემონსტრანტების დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გაუთავდა.

ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურების განცხადებით, პოლიციას ცრემლსადენი გაზის მარაგი თითქმის ამოეწურა. მთავრობამ პოლიციის სპეცსაშუალებების შესაძენად უკვე გამოაცხადა ტენდერი. როგორც ჩანს, პოლიციის აღჭურვისათვის თურქეთის ხელისუფლებას ბიუჯეტიდან დამატებით სახსრების გაღება მოუწევს.

## სოზარ სუბარი: „მსჯავრდებული მამუკა გულუხია პატიმრობიდან გათავისუფლდა“



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, პრეზიდენტის განკარგულებით, შეწყალების საფუძველზე, მსჯავრდებული მამუკა გულუხია პატიმრობიდან გათავისუფლდა.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე სოზარ სუბარმა განაცხადა, სამინისტრომ პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით, პატიმრის მძიმე ავადმყოფობის საფუძველზე მიმართა. სოზარ სუბარმა არ დააკონკრეტა, თუ რა ბრალდების საფუძველზე იხდიდა მამუკა გულუხია სასჯელს.

მინისტრის თქმით, იმის მიუხედავად, რომ ამნისტიის აქტის საფუძველზე პატიმარ გულუხიას სასჯელი შეუმცირდა, მისი გათავისუფლება ვერ მოხდა და მისი გათავისუფლების ერთადერთი ლეგიტიმური გზა პრეზიდენტის შეწყალება იყო.

როგორც სუბარმა აღნიშნა, მამუკა გულუხია წამების მსხვერპლი იყო და მისი დაავადებები ამით იყო გამოწვეული. პატიმარ გულუხიას დედამ კი განაცხადა, რომ მისი შვილი სასჯელს ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით იხდიდა.

*მედიანიუსი*



# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი: საქართველოს ხელისუფლება ვერ იცავს ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთის მინიმალურ სტანდარტებს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ადამიანთა ტრეფიკინგის ყოველწლიური ანგარიში წარმოადგინა, რომელიც მედიის წარმომადგენლებს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ გააცნო.

2013 წლის ანგარიშში მსოფლიოს 188 ქვეყანა მოხვდა, მათ შორის საქართველოც, რომელიც მეორე დანაყოფში იმყოფება.

როგორც ანგარიშშია აღნიშნულია, საქართველო ქალებისა და გოგონების სექსუალური ტრეფიკინგის, ასევე ქალებისა და მამაკაცების იძულებითი შრომის ტრანზიტს, წყაროსა და მიმართულებას წარმოადგენს.

„ქალები და გოგონები ექცევიან სექსუალური ექსპლუატაციის ქვეშ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე თურქეთში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, რუსეთში, გერმანიასა და ავსტრიაში. ქალები უზბეკეთიდან და შესაძლოა სხვა ქვეყნებიდანაც, ექცევიან იძულებითი პროსტიტუციის და კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის ქვეშ საქართველოს ტურისტულ მხარეში — ბათუმსა და გინიოში“, — ნათქვამია ანგარიშში.

2013 წლის ადამიანთა ტრეფიკინგის ანგარიშში ასევე საუბარია უცხოეთის ქვეყნის მოქალაქე ქალბატონებზე, რომლებიც პროსტიტუციით არიან დაკავებული საქართველოში, საუნებში, სასტუმროებსა და ღამის კლუბებში. დოკუმენტში ასევე საუბარია უცხოეთის ქვეყნის მოქალაქეების გამოყენებაზე სოფლის მეურნეობის სექტორში, სამშენებლო თუ სხვა ბიზნესებში.

„საქართველოს ხელისუფლება სრულად ვერ იცავს ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთის მინიმალურ სტანდარტებს, თუმცა მასთან შესაბამისობისთვის მნიშვნელოვან ძალისხმევას ეწევა. წინა წელთან შედარებით, ადამიანთა ვაჭრობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოსავლენად სამართალდამცავთა ძალისხმევა შემცირდა“, — ნათქვამია ანგარიშში.

აშშ რეკომენდაციას აძლევს საქართველოს მიიღოს უფრო ეფექტური ზომები ტრეფიკინგის აღმოსაჩენად და პოტენციური მსხვერპლის გამოსავლენად.

ანგარიშში ასევე ხაზგამსულია, რომ მთავარობა აგრძელებს ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას. ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს იუსტიციის ახალმა მინისტრმა დაადასტურა, რომ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულება და ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველი 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დასრულება, რომელსაც 2013 წელს პრეზიდენტმა მოაწერა ხელი.

ადამიანთა ტერფიკინგის ყოველწლიურ ანგარიშში მე-2 დანაყოფში ხვდებიან ის ქვეყნები, რომელთა ხელისუფლება სრულად ვერ იცავს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტის მინიმალურ სტანდარტებს, მაგრამ მნიშვნელოვან ძალისხმევას ეწევა ამ სტანდარტებთან მიახლოებისთვის.

ტრეფიკინგის მსხვერპლი უმარტივესი განმარტებით არის ადამიანი, რომელიც გადაჰყავთ ერთი ქვეყნიდან მეორეში ან ქვეყნის შიგნით მონობის ან დამონების მიზნით. ეს დანაშაული მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მოიცავს ბევრ კანონდარღვევას, მათ შორისაა ადამიანის უფლებების შეზღუდვა, გაუპატიურება, წამება. ტრეფიკინგი არღვევს ადამიანების თავისუფლების უსაფრთხოებას, რადგან პირი ამ დროს იმყოფება არაადამიანური მონობის პროცესში.

დღესდღეობით არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც ტრეფიკინგის წინააღმდეგ სპეციალურ ღონისძიებებს ატარებენ. ტრეფიკინგი არის მონობის თანამედროვე ფორმა, რომელიც გამოიხატება სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციით.

# აშშ სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებას ერთი მესამედით შეამცირებს



აშშ სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებას ერთი მესამედით შეამცირებს. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ბერლინში ვიზიტის დროს განაცხადა და იქვე დასძინა, რომ „ვაშინგტონი ამ საკითხზე მოსკოვთან მოლაპარაკებებს გეგმავს“.

აშშ-ის პრეზიდენტი ევროპაში ამერიკული და რუსული ტაქტიკური შეიარაღების შემცირების ინიციატივით გამოვიდა.

„შევისწავლე რა სიტუაცია ზედმიწევნით, შემიძლია, განვაცხადო, რომ შეგვიძლია ამერიკისა და ჩვენი მოკავშირეების უსაფრთხოების გარანტირება და ამასთან ერთად, ჩვენი სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების ერთი მესამედით შემცირება. ამის თაობაზე რუსეთთან მოლაპარაკებას ვაპირებ, რათა თავი დავაღწიო რუსეთთან „ცივი ომის“ დროინდელ მდგომარეობას“, — განაცხადა ობამამ ბრანდენბურგის ჭიშკართან სიტყვით გამოსვლისას.

გარდა ამისა, ამერიკის პრეზიდენტმა გააჟღერა საკუთარი სურვილი, ვაშინგტონმა და მოსკოვმა ევროპის ტერიტორიაზე განთავსებული ტაქტიკური შეიარაღებაც შეამცირონ.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის ინიციატივის საპასუხოდ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ არ დაუშვებს სტრატეგიული თავშეკავების ბალანსის დარღვევას.

„ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ სტრატეგიული თავშეკავების ბალანსი დაირღვეს და ჩვენი ბირთვული პოტენციალი შესუსტდეს. ამიტომ სამხედრო-კოსმოსური თავდაცვის სისტემის შემქნა სამხედრო მშენებლობის მთავარ პრიორიტეტად რჩება“, — აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა სახელმწიფო თავდაცვითი შეკვეთების თათბირზე სიტყვით გამოსვლისას.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, უადგილოა შეიარაღების შემცირებაზე საუბარი მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნები თავიანთი თავდასხმითი პოტენციალის სრულყოფაზე შეუჩერებლად მუშაობენ.

თავის მხრივ, რუსეთის ვიცე-პრემიერი დიმიტრი როგოზინი მიიჩნევს, რომ აშშ-ს პრეზიდენტ ობამას წინადადება სტრატეგიულ-შეტევითი იარაღის შემდგომი შემცირების შესახებ რუსეთის ხელისუფლებისთვის მისაღები ვერ იქნება, ვინაიდან არ შეესაბამება რეალობას.

„ობამას წინადადება გვაგონებს გორბაჩოვის დროინდელ „უკან მოუხედავად“ განიარაღებას, როდესაც ხელი მოეწერა მუხანათურ ხელშეკრულებას, რომელიც გვზღუდავს შეიარაღების თანამედროვე სისტემების შექმნაში, რაც ჩვენი სტრატეგიული არსენალის საფუძველს შეადგენს.

ობამა ფაქტობრივად იგივეს გვთავაზობს, თანაც საკუთარი პრო-ს განვითარების პირობებში. ეს არ შეესაბამება რეალობას და ამიტომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება ამას სერიოზულად ვერ განიხილავს“, — განაცხადა ვიცე-პრემიერმა როგოზინმა.

„ამერიკის მიერ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების ვადების ცვლილებით რუსეთისათვის დიდად არაფერი იცვლება“, — აღნიშნულის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.

„ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ ამერიკელები ამ დროისათვის ევროპაში მეოთხე ფაზაზე ამბობენ უარს, რისი კომპენსირებაც ალიასკაში დამატებითი სისტემის განლაგებით ხდება. თუმცა, ეს ჩვენ შეშფოთებას არ ამცირებს, იქიდან გამომდინარე, რომ ეს გლობალურ სისტემად რჩება და მისი კომპონენტების განლაგება ძირითადად ჩვენ საზღვრებთან ახლოს ხდება“ — აცხადებს ლავროვი.

ამასთან, მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ რუსეთი მიესალმება ამერიკის წინადადებას ეს გეგმება გამჭვირვალე იყოს რუსეთისათვის.

*მოამზადა გვრა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**პარასკევი 21 ივნისი**

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჟორიკანა„ 17.00 „საუკუნის პორტრეტები„ 17.30 „ეთნოგრაფიული ჩანახატები„ 18.00 დ/ფ „ეგვიპტიდან„ 19.05 ტ/სერ „ნუ შეწყვეტ ოცნებას„ 21.00 „აქცენტები„ 22.00 ტ/სერ. „ნიკიტა„ 23.00 „წითელი ზონა„ 00.00 დ/ფ „ანკარა„ (რეჟ: ს. იუტკევიჩი) 01.00 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 „ბრიფინგის დრო„ 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 10.30 „არგუმენტების დრო„ 10 გადაცემა 14.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 4 ნაწ. 16.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ I ნაწ. 20.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 მუნჯი კომედია – გენერალი 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 21.50 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 მხ/ფ „კერკეტი კაკალი„ (ა.რიკმანი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.45 მხ/ფ „ბარაბა„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მოკ/ფ „სტუმარი„ 11.05 ისტორიის გაკვეთილი 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი„ 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.10 საუბრები ლიტერატურაზე 16.40 ანს. „ნიჟინარი და სახიობა„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ/ფ „კუპარაჩა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სათავეებთან 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

**მაესტრო** 7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 16.30 „მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 ივნისი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6478 | ევრო — 2,2082 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5749 | 100 რუსული რუბლი — 5,1301 |

**ამინდის პროგნოზი 21 ივნისისთვის**





## 21 ივნისიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

საოჯახო სამზარეულოს

10-ტომეული

## მ ა ლ ე !

ლეგენდარული „მგლის ბილიკი“

„ახალ თაობასთან“ ერთად


## ქეთა თოფურია შემოდგომაზე იქორწინებს



რუსული ჯგუფის „ა სტუდიოს“ ქართველი სოლისტი ქეთა თოფურია ქორწილს შემოდგომისთვის გეგმავს. როგორც ჩანს, ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა, რადგან ქეთამ და მისმა რჩეულმა ლევ გეიხმანმა ეს ცერემონიალი იმდენჯერ გადადეს, რომ ქორწილის ერალურად გამართვაში უკვე ყველას ეჭივ ეპარება.

როგორც რუსული პრესა იტყობინება, „ა სტუდიოს“ სოლისტს ლევ გეიხმანმა მაქსიმ გალკინის დაბადების დღეზე ხელი საჯაროდ, ყველას თვალწინ სთხოვა და თანაც ამჯერად უკვე ოფიციალურად.

ამ მომენტით წვეულებაზე მყოფი საზოგადოება აღფრთოვანდა. ეს მომენტი დაუვიწყარად მიიჩნია მუზ ტივის დირექტორმა, არმან დავლეტიაროვმა და მისი გასაჯაროება გადაწყვიტა:

– მაქსიმ გალკინის დადადების დღეს ლევმა ქეთა თოფურიას ხელი სთხოვა. მან კი უპასუხა „თანახმა ვარ“! ქორწილი 9 სექტემბერს გაიმართება! – ასეთი სახის ინფორმაცია გამოაქვეყნა მუზ ტივის დირექტორმა საკუთარ მიკრობლოგზე.

ქეთასთვის ჯგუფში მოღვაწეობა საკმაოდ წარმატებულია. ორიოდე დღის წინ „ა სტუდიო“ მოსკოვში შოუ ბიზნესში მოღვაწე ყველაზე მოდურ ჯგუფად დაასახელეს. დაჯილდოების ცერემონიალი უკვე მესამედ ჩატარდა და მასზე ყველაზე მოდურმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. რჩეულები სპეციალურმა ჟიურიმ შერჩია, რომელიც ორგანიზატორებმა მოდის ინდუსტრიის წარმომადგენლებით, დიზაინერებითა და სტილისტებით დააკომპლექტეს. მთლიანობაში გამარჯვებულები 20-მდე ნომინაციაში გამოვლინდნენ. ნომინაციაში ყველაზე მოდური ჯგუფი „ა სტუდიო“ დასახელდა, თუმცა ეს ჯგუფისთვის პირველი პრიზი არ იყო. ამავე ნომინაციაში „ა სტუდიომ“ შარშანაც გაიმარჯვა.

*ეკა ირემაშვილი*

## ანუკი არეშიძე ქველმოქმედებაში ჩაერთო

კახი კალაძის მეუღლე ანუკი არეშიძე ქველმოქმედებაში ჩაერთო. მან მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო ღონისძიებაში, რომელიც „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ წევრებისთვის ხორ-



ციელდება და ის 15 ქალბატონისთვის არტ-თერაპიის კურსის დაფინანსებას ითვალისწინებს.

„ჩვენ გამოგვივა“ – ასეთია პროექტის დევიზი, რომლის პრეზენტაცია-კონფერენცია საგანგებოდ ონკოლოგიური დაავადების მქონე ქალბატონებისთვის რესტორანში „ძველი ქალაქი“ გაიმართა. საქველმოქმედო ღონისძიებაში ჩართული იყვნენ როგორც მედიასაშუალებები, ასევე მთავრობის წევრები, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები. მათ შორის იყო ანუკი არეშიძეც.

საქველმოქმედო პროექტი სახელწოდებით „არტ-თერაპია ონკოლოგიური პრობლემის მქონე ქალებისთვის“ ერთობლივად ხორციელდება დიზაინერ ანუკა არეშიძის და „ხელოვნების სახლის“ მიერ. როგორც პრეზენტაცია-კონფერენციაზე გახდა ცნობილი, პროექტის ფარგლებში ქალბატონებისთვის ტარდება არტ-თერაპიის სხვადასხვა კურსი, მათ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 21 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – უჩვეულო დღეა, ყველა სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემას მოევლება. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გსურთ. **ლომი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, ფულს იშოვით. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – დაისვენეთ, ძალიან გადაღლილი ხართ. **ღრიანკალი** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე გექნებათ. **მშვილდოსანი** – არავის აყვეთ, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **თხის რქა** – გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **მერწყული** – ცხოვრება გეცვლებათ, ეიფორიაში ხართ. **თევზები** – კარგად ხართ, უბრალოდ ცოტა გადაიღალეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 2. ბაღჩეული მცენარე, გრძელყელიანი გოგრა; 3. ფილატელისტის ალბომი; 4. თერმოდინამიკის ფუძემდებელი ინგლისელი ფიზიკოსი; 5. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 9. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 12. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 14. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. უკრაინის პარლამენტი; 17. აზროვნების ორგანო; 18. ლიტერატურული პრემია საქართველოში.

**თარაზულად**: 6. ნაკეთობის შესამკობად გადაკრული ოქროს თხელი ფენა; 7. აზრის არაპირდაპირი ხერხებით, იგავურად გამოხატვა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 8. პატარა ბაღი; 10. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 11. ატლანტიკისა და ხმელთაშუა ზღვის დამაკავშირებელი სრუტე; 13. საცხენოსნო სარბიელი; 16. აღმოსავლური, ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 20. მხედველობის მოშლა, რომლის დროსაც საგნები ორად ეჩვენებათ.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## ზაზა შენგელია ახალ პროექტს იწყებს



კომპანია „ბრავო რექორდსი“ და მისი ხელმძღვანელი ზაზა შენგელია ახალ პროექტს იწყებს. ჯგუფ „შინის“ ალბომის წარდგენის შემდეგ, კომპანია უკვე ჯგუფ „ელდრაინთან“ თანამშრომლობს და მისი პირველი ალბომის ჩაწერაზე ზრუნავს. როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, „ბრავო რექორდსი“ და „ელდრაინი“ ავღანეთში აისაფის მისიაში მონაწილე ჯარისკაცებს სიდი ალბომს მიუძღვნიან.

– ეს არ იქნება მხოლოდ ქართველი ჯარისკაცების მხარდასაჭერი ალბომი. ჯგუფის „ელდრაინი“ ალბომი ავღანეთში აისაფის მისიაში მონაწილე საქართველოს და სხვა ქვეყნის ჯარისკაცების მხარდასაჭერად ჩაიწერება. ჯგუფის პირველი სიდი ალბომი სწორედ ამ თემატიკას შეეხება, – განაცხადა „ბრავო რექორდსის“ ხელმძღვანელმა ზაზა შენგელიამ.

მისივე თქმით, ამჟამად „ბრავო რექორდსში“ ალბომის სტუდიური ჩაწერები და დიზაინზე მუშაობა მიმდინარეობს. ახალი ალბომის პრეზენტაცია კი 5 ივლისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართულ კონცერტზე იგეგმება.

– ჯგუფი „ელდრაინი“ ქართულ მუსიკალურ ინდუსტრიაში მაღალი საშემსრულებლო დონით, სიმღერების სოციალური თემატიკით და დახვეწილი რეპერტუარით გამოირჩევა. ეს ჯგუფის პირველი სიდი ალბომია, სახელწოდებით „ბოლომდე“ და იგი ანტიტერორისტულ თემატიკას ეძღვნება. ალბომში შესული კომპოზიციები ჯგუფის წევრების დიდი ხნის ნაფიქრი და ნამუშევარია. მასში 12 ინგლისურენოვანი მუსიკალური ნაწარმოები შედის.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## გრიგალაშვილი კარიერას კვიპროსში გააგრძელებს



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილი კარიერას კვიპროსის „ანორთოსისში“ გააგრძელებს. ინფორმაცია კვიპროსული კლუბის ვებგვერდმა დაადასტურა.

ვებგვერდის ცნობით, გრიგალაშვილთან შეთანხმება მიღწეულია.

– ფეხბურთელი კვიპროსში ჩამოვა, რათა სამედიცინო შემოწმება გაიაროს, რის შემდეგ, ჩვენთან კონტრაქტს გააფორმებს, – წერია „ანორთოსისის“ ვებგვერდზე.

ალბათ შეხსენება არ დაგვჭირდება, რომ „ანორთოსის“ ფეხბურთელი და მწვრთნელი საქართველოს ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი თემურ ქეცბაია იყო. თუ რა როლი ითამაშა ქეცბაიამ 27 წლის ფეხბურთელის კვიპროსულ გუნდში გადასვლაში, ვერაფერს გეტყვით.

გრიგალაშვილის ბოლო კლუბი ხაბაროვსკის „სკა-ენერგია“ იყო. აქვე გეტყვით, რომ გასული სეზონი გრიგალაშვილმა გორის „დილაში“ დაიწყო, რომლის რიგებში ევროპის ლიგაზე ითამაშა. შემდეგ მან რუსეთის პრემიერლიგის ვლადიკავკაზის „ალანიას“ მიაშურა. ზამთარში ის რუსეთის პირველი დივიზიონის „სკა-ენერგიაში“ გადავიდა. ნათამაშები აქვს თბილისის „დინამოში“, „ბორჯომში“ ახალციხის „მესხეთში“, „ზესტაფონსა“ და გორის „დილაში“.

*მ. ჟ.*

ლურჯი წითელი ყვითელი შავი